პანდემიური გრიპის (H1N1) 2009 ვირუსი ვირცელდება ისევე, როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. დაავადებული ადამიანის სველის ან ცემინების დროს დაინფიცირებული წვეთები ხვდება მათ ხელზე, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირებზე ან დისპერსირდება ჰაერში 1 მეტრის მანძილზე. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს კონტამინირებული ჰაერიდან ან დაინფიცირებულ ხელებთან, ზედაპირებთან შეხებისას, თუ იმავე დაუბანელი ხელით შეეხება საკუთარ თვალებს ან ცხვირ-პირს.

პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის ინკუბაციური პერიოდი საშუალოდ 3-4 დღეს შეადგენს. ჯანმოს მითითებით, ინკუბაციური პერიოდის მაქსიმალურ ვადად უნდა ჩაითვალოს 7 დღე. ადამიანი გადაამდებია სიმპტომების გამოვლენამდე 1 და გამოვლენის შემდეგ 7 დღე. პატარა ბავშვები გადაამდები არიან უფრო ხანგრძლივად.

klinikuri kriteriumebi:

mwwaved ganviTarebuli Semdgomi klinikuri simptomebi:

ცხელება > 38⁰C და გრიპისმაგვარი დაავადებების კლინიკური ნიშნები (ერთი ან მეტი ჩამოთვლილთაგან: ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, რინორეა/ცხვირის გაჭედვა, ლებინება/ღიარეა და სხვა) ან

სასუნთქი სისტემის მიმე ინფექციური დაავადება მიმდინარე ქოშინით ან სუნთქვის უკმარისობით ან

სიკვდილი გაურკვეველი მწვავე რესპირაციული დაავადებით.

დაავადების გამოვლინებამდე 7 დღით ადრე ადეკვატური დაცვის გარეშე (ერთი ჩამოთვლილ-თაგან)

მოგზაურობა/ცხოვრება ტერიტორიაზე, სადაც ჯანმრთელობის მიერ დადასტურებულია პანდემიური (H1N1) 2009 ინფექციის აფეთქების შემთხვევები ადამიანთა შორის მდგრადი გადაცემით

აღინიშნებოდა ახლო (<1 მეტრზე) კონტაქტი დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან შემთხვევა

ტემპერატურის დოკუმენტირება არ არის სავალდებულო თერმომეტრით; საკმარისია ტემპერატურის მატების თუნდაც ერთი პრეცედენტის სუბიექტური დადასტურება წინა სამი დღის განმავლობაში.

ეპიდემიოლოგიური კრიტერიუმები:

დაავადების გამოვლენამდე 7 დღით ადრე ადეკვატური დაცვის გარეშე:

მოგზაურობა/ცხოვრება ტერიტორიაზე, სადაც დადასტურებულია პანდემიური (H1N1) 2009 ინფექციის აფეთქების შემთხვევები ადამიანთა შორის მდგრადი გადაცემით; ან

ახლო (<1 მეტრზე) კონტაქტი დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევასთან ამ უკანასკნელში კლინიკური სიმპტომების გამოვლინების პერიოდში ან ამ სიმპტომების დაწყებამდე 24 საათის განმავლობაში; ან

მუშაობა პანდემიურ (H1N1) 2009 ვირუსზე ლაბორატორიის პირობებში.

ლაბორატორიული კრიტერიუმები

დადებითი შედეგი ერთი ან მეტი ლაბორატორიული ტესტის გამოყენებით

პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია;

ვირუსის კულტურა;

პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის ვირუსს საწინააღმდეგო ანტისხეულების ტიტრის ოთხჯერადი მატება მინიმუმ 10-14 დღის შუალედით აღებულ სისხლის შრატში;

პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის საიდენტიფიკაციო კვლევის ჩატარება წარმოებს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში (მყისიერი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია).

პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის გართულებების სპექტრი ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

პაციენტთა უმრავლესობას დაავადება ეწყება მაღალი ცხელებითა (ჩვეულებრივ, 38⁰C-ზე მეტი) და რესპირაციული სიმპტომებით: ყელის ტკივილი, ხველა და თავის ტკივილი. ხშირია რინორეა, ცხვირის გაჭედვა.

ასევე აღინიშნება: გულისრევა, ღებინება, დიარეა, მიაღვია, ართრალგია, დაღლა და ქოშინი. იშვიათად აღინიშნება კონიუნქტივიტი. დაავადე-

ბის მიმე მიმდინარეობისას აღინიშნება: სუნთქვის უკმარისობა და ლეთარგია.

ჩვილ ბავშვებში, როგორც წესი, ინფექცია განსხვავებული სიმპტომებით მიმდინარეობს. მათში უფრო დამახასიათებელია ცხელება, ლეთარგია. მათ შესაძლებელია არ ჰქონდეთ ხველა ან სხვა რესპირაციული სიმპტომები. მიმე მიმდინარეობისას შესაძლოა გამოვლინდეს ისეთი სიმპტომებით, როგორცაა აპნოე, დისპნოე, ციანოზი, დეჰიდრატაცია, მენტალური სტატუსის შეცვლა.

5 წლამდე ასაკის ბავშვები განსაკუთრებულად არიან მიდრეკილი გრიპის გართულებებისადმი.

პანდემიური (H1N1) 2009 გრიპის დროს აღწერილი გართულებების ჩამონათვალი მსგავსია სეზონური გრიპისა და მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს:

ზემო რესპირაციული ტრაქტის დაავადებები (სინუსიტი, ოტიტი, კრუპი);

ქვემო რესპირაციული ტრაქტის დაავადებები (პნევმონია, ბრონქოლიტი, ასთმური სტატუსი);

გულის დაავადებები(მიოკარდიტი, პერიკარდიტი);

ნევროლოგიური დარღვევები (მწვავე და პოსტინფექციური ენცეფალოპათია, ენცეფალიტი, ფებრილური კრუნჩხვა, ეპილეფსიური სტატუსი);

ტოქსიკური შოკის სინდრომი;

თანმხლები ქრონიკული დაავადებების გამწვავება

ორსულები – განსაკუთრებით მიმედ მიმდინარეობს ინფექცია ორსულებში. ისინი 4-ჯერ უფრო ხშირად ექვემდებარებიან ჰოსპიტალიზაციასა და ინტენსიურ თერაპიას. აღინიშნება სპონტანური აბორტის ან ნაადრევი მშობიარობის შემთხვევები პანდემიური გრიპით დაავადებულ ორსულებში, განსაკუთრებით პნევმონიის ფონზე. ხუთი ჰოსპიტალიზებული ორსულიდან ორს განუვითარდა გართულებები სპონტანური აბორტის (გესტაციის მე-13 კვირაზე) და ნაადრევი მშობიარობის სახით (35-ე კვირაზე).

ლეტალობა – სეზონური გრიპის მიერ გამოწვეული ლეტალობა მაღალია ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებში, ორსულ ქალებში და ასაკოვან პოპულაციაში. მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა პანდემიური გრიპის დროს. თუმცა, როგორც აღინიშნა, მოხუცებში ავადობა იყო დაბალი, რაც შესაძლებელია, განპირობებული ყოფილიყო მათში ანტიგენურად მსგავსი ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტის არსებობით.

ევროპის ქვეყნებში რეგისტრირებულ შემთხვევებში გამოხატული იყო შემდეგი კლინიკური ნიშნები (პროცენტულად)

კლინიკური ნიშნები	საშუალო გავრცელება (%)
ცხელება(>38)	95
ხველა	60
მიაღვია	35
თავის ტკივილი	30
ღიარვა	30
ყელის ტკივილი	30
აბათია	25
რინიტი, ართრალგია, ღებინება, სუნთქვის უკმარისობა	2-5

დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარდაეს გრიპის პრევენციის ზოგადი ღონისძიებები: კონტაქტის შეზღუდვა ადამიანებთან, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძობენ, აღენიშნებათ ცხელება და ხველა;

არ შეხეთ იმ ზედაპირებთან, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული გრიპის ვირუსით; ხშირად და საფუძვლიანად დაბანა ხელების საპნითა და წყლით;

ხელების და ცემინების დროს ცხვირსახოცის მიფარება. გამოყენების შემდეგ ცხვირსახოცი გადაგდება;

დარჩნა სახლში სიმპტომების გამოვლენიდან 7 დღის განმავლობაში ან სიმპტომების გაქრობიდან 24 საათის ან უფრო მეტი დროის განმავლობაში. ეს დაიცავს სხვა ადამიანებს დაავადებისგან და შეზღუდავს ვირუსის შემდგომ გავრცელებას.

ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა, თავის აარიდება სტრესებისაგან, საკმარისი რაოდენობით სითხისა და სასარგებლო საკვების მიღება.

ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებმა გასცეს პანდემიური გრიპის ვაქცინის წარმოების ლიცენზია. ლიცენზირების პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეგულირების მექანიზმზე თითოეულ ქვეყანაში, ვაქცინის ტიპზე და მწარმოებლების მზადყოფნაზე წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოებს.

ჯანმო-ს რეკომენდაციით ვაქცინაციის დროს პრიორიტეტი ენიჭება ჯანდაცვის მუშაკებს, რათა დაიცვან საკუთარი თავი და პაციენტები და შეინარჩუნონ ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება პანდემიის დროს.

მეორე პრიორიტეტულ ჯგუფს მიეკუთვნება მძიმე დაავადების რისკის ქვეშ მყოფნი. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შექმნან ვაქცინაციის გეგმები ქვეყნის სიტუაციიდან გამომდინარე.

სხვა ჯგუფები მოიცავს: ორსულებს, 6 თვეზე მეტი ასაკის პირებს, რომელთაც აქვთ რომელიმე ქრონიკული დაავადება; ჯანმრთელ მოსახლეობას 15-49 წლის ასაკში, ჯანმრთელ ბავშვებს, ჯანმრთელ მოსახლეობას 50-64 წლის ასაკში, ჯანმრთელ მოსახლეობას 65-ზე მეტი წლის ასაკში.

ლახოლვანის გამოყენება სასუნთქი სისტემის ზოგიერთი პათოლოგიის დროს ბავშვებში

ლ. ლაბაძე

ხელმძღვანელი: მ. ჩოპოშვილი

გ. უვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა

სასუნთქი სისტემის პათოლოგიას, როგორც ბავშვთა ისე ზრდასრულ ასაკში, ინფექციური პათოლოგიის ავადობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ბავშვთა ასაკში, სასუნთქი სისტემის პათოლოგიას 70-80% შემთხვევაში ვირუსები იწვევენ(1,4,10). ისინი განაპირობებენ სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის სტრუქტურულ ცვლილებებს, დაცვის მექანიზმების დაქვეითებას, აუარესებენ ჟანგბადის და ნახშირორჟანგის დიფუზიას ალვეოლარულ-კაპილარულ მემბრანაში, რაც განაპირობებს ჰიპოქსიის განვითარებას და ზოგადი მდგომარეობის გაუარესებას (2,3,6).

სასუნთქი სისტემის პათოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი სიმპტომია ხველა ნახველით. ნახველი არის რთული კომპლექსი, რომელიც შედგება ეგზოკრინული ჯირკვლების სეკრეტის, ჩამნოფცქნილი ეპითელური უჯრედებისგან, ბრონქული სირფანქტანტისგან, მიკროორგანიზმებისგან და სასუნთქი სისტემაში არსებული მაკროფაგებისგან. სასუნთქი სისტემის მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს, მაღალი წებვადობისა და შეწებების მქონე წარმოქმნილმა სეკრეტმა, ბრონქის სადინარებში დაგროვების შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ბრონქების ობსტრუქცია და გაზთა ცვლის დარღვევა(1,6). ნორმალური გაზთა ცვლისათვის აუცილებელია შესასუნთქი ჰაერი გათბეს, დატენიანდეს და გასუფთავდეს, რასაც უზრუნველყოფს მუკო-ცილიარული კლირენსი.

თუკი წვრილი ბრონქების პერიტალტიკური მოძრაობა და მსხვილი ბრონქებისა და ტრაქეის ეპითელის ხაოების „ციმციმი“ ვეღარ უზრუნველყოფს ბრონქიალური ხის ადექვატურ დრენაჟს, ვითარდება ხველა, რომლის ფიზიოლოგიური დანიშნულებაა სასუნთქი გზების განთავისუფლება გარედან მოხვედრილი ან ენდოგენურად წარმოქმნილი ნივთიერებებისაგან. ბრონქიალური დრენაჟის დარღვევის დროს ხველა მნიშვნელოვანი დამცავი რეაქციაა და მოითხოვს ამოსახველებელი საშუალებების დანიშნას.

ამოსახველებელი საშუალებებს, რომლებიც აუმჯობესებენ ნახველის ამოხველებას, მიეკუთვნებიან მუკოლიზური პრეპარატები, რომლებიც ათხელებენ ნახველს, ისე რომ მისი რაოდენობა არ იზრდება. მათი წარმომადგენელია ამბროქსოლი.

ამბროქსოლის მნიშვნელოვანი თვისებაა ფილტვებში სურფაქტანტის შემცველობის მომატება, რაც ზრდის მუკოცილიარულ ტრანსპორტს და გლიკოპროტეიდების სეკრეტის გაძლიერებასთან ერთად, იძლევა გამოხატულ ამოსახველებელ ეფექტს.

ამოსახველებელი საშუალებების დანიშნისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სასუნთქი სისტემის დაზიანების ხასიათი და ბავშვის ასაკი(3,5). მათი შერჩევა უნდა იყოს ინდივიდუალური, ნათელია რომ ბავშვებში, განსაკუთრებით უმცროს ასაკში უფრო გამართლებულად გამოიყურება ამბროქსოლის გამოყენება, რომელიც მაღალი თერაპიული ეფექტით გამოირჩევა. სხვა ჯგუფის ამოსახველებელი საშუალებებისაგან განსხვავებით ამბროქსოლი წარმატებით გამოიყენება სპასტიური სინდრომით მიმდინარე სასუნთქი სისტემის მწვავე და ქრო-

ნიკული ანთებითი დაავადებების დაავადებების დროს, ხელს უწყობს სურფაქტანტის სინთეზს და შეთავსებადია ანტიბიოტიკებთან.

შრომის მიზანი: ლაზოლვანის ეფექტურობის შეფასება მწვავე ბრონქიტის დროს ბავშვებში.

მასალა და მეთოდები: შესწავლილია გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში ჰოსპიტალიზებული 1-დან 5 წლამდე ასაკის ბრონქიტით დაავადებული 19 ბავშვი. ბრონქიტის მკურნალობის კომპლექსში ჩართული იყო ლაზოლვანი.

ბრონქიტით დაავადებული 19 ბავშვიდან მწვავე მარტივი ბრონქიტი აღენიშნა 11-ს, მწვავე ობსტრუქციული ბრონქიტი – 8-ს,

მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად ბრონქიტით დაავადებულები დაიყო ორ ჯგუფად:

I ჯგუფი 9 დაავადებული ბავშვი (საკონტროლო) - სადაც მკურნალობის კომპლექსში დანიშნული იყო ხველის მასტიმულირებელი საშუალებები მუკალტინი, კალიუმის იოდიდი.

II ჯგუფი 10 ავადმყოფი(ძირითადი) – სადაც კომპლექსურ მკურნალობაში ჩართული იყო ლაზოლვანი.

დაავადების მიმდინარეობის დინამიკა შეისწავლებოდა სამჯერადად: მკურნალობამდე და მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირისა და 2კვირის შემდეგ.

ფასდებოდა პროდუქტიული ხველის გამოჩენის ვადა, მისი ინტენსივობა და გამოჯანმრთელების ვადა. ასევე ნახველის წებოვანება.

მკურნალობის ეფექტურობა შეფასდა კლინიკური და პარაკლინიკური მონაცემების საფუძველზე: ჰაბიტუსი, ინტოქსიკაცია, ციანოზის ინტენსივობა და გაგრძელება, ქოშინი, სუნთქვაში დამხმარე კუნთების მონაწილეობა, ხველის ტიპი, ინტენსივობა და ხანგრძლივობა, სუნთქვის უკმარისობის ხარისხი, ფილტვების პერკუტორული და აუსკულტაციური მონაცემების დინამიკა, სისხლის საერთო ანალიზი, გულმკერდის რენტგენოგრაფია.

გამოკვლევის შედეგები და მათი განხილვა:

ავადმყოფთა ისტორიების ანალიზით, მწვავე მარტივი ბრონქიტის დროს სუბფერულიტიტი გაგრძელდა 2-3 დღე, ზოგადი მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. ხველა იყო მშრალი, რომელიც 3 შემთხვევაში ატარებდა შემაწუხებელ ხასიათს. ფილტვების პერკუსიით აღინიშნებოდა ნათელი ხმა, აუსკულტაციით ორივე მხარეს მშრალი, მსხვილი და საშუალო ბუშტუკოვანი სველი ხიხინი. ზოგჯერ გაფანტული წვრილბუშტუკოვანი სველი ხიხინი.

მწვავე ობსტრუქციული ბრონქიტის დროს კლინიკურად გამოხატული იყო ქოშინი, სუნთქვა 72-86წუთში, სუნთქვაში დამხმარე კუნთების მონაწილეობით, ცხვირის ნესტოების ბერვა, გაძნელებული ამოსუნთქვით, ზოგჯერ მსტვინავი(4 ავადმყოფი), 5 შემთხვევაში პერიორალური ციანოზი, სუნთქვის უკმარისობის I და II მეორე ხარისხი. ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მშრალ ხველას, 3-შემთხვევაში ხველას ახლად ღებინება. ფილტვების პერკუსიით დიფუზურად კოლოფისებური ხმიანობა, აუსკულტაციით მასიური წვრილბუშტუკოვანი, ასევე საშუალო და მსხვილ ბუშტუკოვანი სველი ხიხინი.

ნი. გულმკერდის რენტგენოგრაფიაზე აღინიშნებოდა ბრონქისისხლარდოვანი სურათის გაძლიერება. სისხლში გამოიხატა ზომიერი ლეიკოციტოზი, ედსის მცირედენი აჩქარება.

მწვავე მარტივი ბრონქიტით დაავადებულ ყველა ბავშვს მკურნალობის კომპლექსში ლაზოლვანის ჩართვისას აღინიშნებოდა კარგი კლინიკური ეფექტი. მწვავე ბრონქიტის დროს ლაზოლვანის დანიშვნის მეორე დღიდან ხველა ხდებოდა პროდუქტიული, მკურნალობის მესამე დღეს ხველის ინტენსივობა მცირდებოდა და ქრებოდა პრეპარატის მიღებიდან მე-3 დღეს. მწვავე ბრონქიტის დროს ლაზოლვანის გამოყენების შედარებითმა დახასიათებამ ჩვენს კლინიკაში ფართოდ გამოყენებულ მუკალტინთან შედარებით გვიჩვენა ლაზოლვანის უფრო მაღალი თერაპიული ეფექტი

მწვავე ობსტრუქციული ბრონქიტის დროს ხველის კუპირება(94%) პრაქტიკულად მოხდა მკურნალობის კომპლექსში ლაზოლვანის დანიშნვიდან მე-6-7 დღეს, ქოშინი მოეხსნა ავადმყოფთა 97%-ს, 81,8% ავადმყოფთან ხიხინი აღარ მოიხმინებოდა, დანარჩენებთან ხიხინის რაოდენობა შემცირდა.

ავადმყოფთა I ჯგუფში, სადაც არ იყო გამოყენებული ლაზოლვანი, დადებითი დინამიკა აღინიშნა მე-5-6 დღეს, ხველა მოეხსნა ავადმყოფთა 2/3-ს, ქოშინი - 85%-ს, ხიხინი კვლავ უგრძელდებოდა 40%-ს (დიაგრამა№1).

ლაზოლვანის ეფექტურობა მწვავე ბრონქიტის დროს

ამგვარად, გამოკვლევის შედეგად დადგინდა რომ

1. სასუნთქი სისტემის პათოლოგიით მიმდინარე დაავადებების მკურნალობის კომპლექსში ლაზოლვანის გამოყენების დროს მიღწეული იქნა დადებითი კლინიკური ეფექტი.
2. მუკალტინის და კალიუმის იოდიდის დანიშვნის დროს, ასევე იყო გამოხატული მუკოლიზური ეფექტი, მაგრამ მკურნალობის დაწყებიდან უფრო მოგვიანებით პერიოდში, ვიდრე ლაზოლვანის შემთხვევაში.
3. ლაზოლვანი უსაფრთხო პრეპარატია და მკურნალობის პროცესში პრაქტიკულად გართულებები არ გამოვლენილა.

ლიტერატურა:

Авдеев С.Н., Чучалин А.Г. Тяжелая внебольничная пневмония // Рус. мед. журн. 2001. Т.9, №5. С. 177–181.

Синопальников А.И., Страчунский Л.С. Новые рекомендации по ведению взрослых пациентов с внебольничной пневмонией // Клин. микробиология и антимикробная химиотерапия. 2001. Т.3, № 1. С. 54–68.

Яковлев С.В. Критический анализ антибактериальных препаратов для лечения инфекций в стационаре// Consilium medicum. 2002. . 4, 1. . 22 30.

Чернушенко Е.Ф. // “местный иммунитет при заболеваниях легких” Реф журн. Клиническ. Иммуно. И аллерг. 1999г. Ст.28

Чихрадзе М.В./“Клинико-иммунологическая характеристика больных с хроническим бронхитом в динамике иммунореабилитации.” Автореферат 1999г.

М.А. Харитонов А.В. Николаев // терапия инфекций нижних дыхательных путей Клини. фармакология и тера-

პაციენტის უფლებები და ინფორმირებული თანხმობა პედიატრიულ პრაქტიკაში

გ. შვანიას სახელობის ჩვილ ბავშვთა თერაპიული განყოფილების უფროსი მედლა მელეა მონასელიძე;
განყოფილების გამგე მედიცინის დოქტორი თინა ღონღაძე;

”ბავშვის უფლებათა კონვენცია” რატიფიცირებულია და შესულია ქალაქში საქართველოს მთავრობის მიერ 1994 წლის 2 ივნისს.

საქართველოს კანონმდებლობაში ასახულია ბავშვის უფლებების დაცვის მექანიზმები სამედიცინო დაწესებულებებში.

საქართველოს კანონში “პაციენტის უფლებების შესახებ” მერვე თავი არეგულირებს არასრულწლოვანთა უფლებებს სამედიცინო მომსახურების პროცესში.

ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელსაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი 1989 წელს, მსოფლიო მასშტაბის იურიდიული დოკუმენტია.

საქართველომ ამ კონვენციის რატიფიცირება 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა და აიღო ვალდებულება, შეასრულოს კონვენციის დებულებანი. სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს 18 წლამდე ასაკის ბავშვების დაცვა და მათზე ზრუნვა.

ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებები ეფუძნება ოთხ ძირითად კომპონენტს, როგორცაა:

- სიცოცხლე
- განვითარება
- დაცვა
- მონაწილეობა

ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება. სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემებით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება.

ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა გამოვლენის უფლება.

ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან.

ბავშვებს აქვთ უფლება, გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავისი შეხედულებები, მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

ინფორმაციის მიღების უფლება

სამედიცინო დარგის პროფესიონალები უნდა თანამშრომლობდნენ როგორც ბავშვებთან, ასევე მათ მშობლებთან, რომლებიც უნდა იყვნენ ჩართულნი შემოთავაზებული მკურნალობის და სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პაციენტმა უნდა მიიღოს ინფორმაცია სამედიცინო საწესებულებაში მოხვედრისთანავე ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული ნებისმიერი

პაციენტისათვის დროულად და ინფორმაცია უნდა იყოს სდრულყოფილი და ჭეშმარიტი(საქართველოს კანონი “პაციენტის უფლებების შესახებ”, მუხლი 19)

პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურებისაგან მიიღოს სრული, დროული და გასაგები ინფორმაცია:

ა) სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ) საქართველოს კანონმდებლობით და სამედიცინო დაწესებულებების შინაგანაწესით განსაზღვრულ პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;

გ) განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და ეფექტიანობის შესახებ;

დ) სამედიცინო გამოკვლევების შედეგების შესახებ;

ე) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ;

ვ) სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ

ზ) სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ

თ) სამედიცინო მომსახურების არსებული რესურსებისა და მათი მიღების სახეების, საფასურისა და ანაზღაურების ფორმების შესახებ.

მუხლი 17

1. პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან ქმედუნარობის შემთხვევაში, ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ:

ა) გაცნონ სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორებების შეტანა. სამედიცინო ჩანაწერებში ინახება როგორც შესწორებამდე არსებული, ისე პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ახლად მიწოდებული ინფორმაცია;

ბ) მოითხოვონ სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი.

2. სამედიცინო ჩანაწერების გაცნობის, აგრეთვე მათი ასლის მიღების

შესახებ მოთხოვნა წერილობით წარედგინება სამედიცინო დაწესებულებას.

ინფორმირებული თანხმობა

ნებისმიერი ჩარევა სამედიცინო მომსახურების სფეროში უნდა ჩატარდეს პირის მიერ ნება-

ყოფლობითი განხადებით, გააზრებული თანხმობის მიღების შემდეგ.

პირს წინასწარ უნდა მიეცეს ინფორმაცია ჩარევის მიზნებისა და ხასიათის, აგრეთვე შედეგებისა და საფრთხის შესახებ.

ინფორმირებული თანხმობა უნდა განაცხადოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მისთვის მიწოდების შემდეგ.

ეს ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მის უფლებებსა და მოვალეობებს, მომსახურების ფასს, ანაზღაურების წესს, ყოველგვარ განზრახულ მომსახურებას, თანხმლები რისკისა და მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით, სამედიცინო გამოკვლევების შედეგებსა და მომსახურებაზე უარის მოსალოდნელ შედეგებს, დიაგნოზს, სავარაუდო პროგნოზს, მომსახურების გამწვევის ვინაობასა და პროფესიულ გამოცდილებას. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის მიღების შემდეგ შეუძლია პაციენტს განაცხადოს თანხმობა სამედიცინო მომსახურებაზე

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პაციენტის მოსაზრება გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ასაკისა და გონებრივი მდგომარეობის შესაბამისად. 16 წლამდე პაციენტს სამედიცინო მომსახურება უტარდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

რაც შეეხება პაციენტს, რომლის ასაკი აღემატება 16 წელს, მა სუფლება აქვს ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, რის შესახებ უნდა ეცნობოს მის მშობელსა ან კანონიერ წარმომადგენელს.

იგივე წესები ვრცელდება არასრულწლოვანის სამედიცინო კვლევის ობიექტად გამოყენების დროსაც.

არასრულწლოვან პაციენტს, ისევე, როგორც ნებისმიერ პაციენტს, უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკს და გონებრივ განვითარებას

საექთნო განათლება საქართველოში - ანმყო და მომავალი

საექთნო საქმე ჯანმრთელობის დაცვის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოში საექთნო საქმის მოდელი განიხილავდა ექთანს, როგორც ექიმის პირველ საფეხურს. ამან გამოიწვია საექთნო საქმის, როგორც პროფესიის განვითარების შეფერხება. ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად აუცილებელია განისაზღვროს სამედიცინო სფეროში ექიმის - როგორც მკურნალის და ექთნის - როგორც მომვლელის ფუნქცია.

2007 წელს საქართველოში მოხდა უმაღლესი განათლების რეფორმა, რამაც შემოიტანა პროფესიული განათლების ცნება. 2007 წლის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრავს 2 ტიპის პროფესიულ განათლებას: სახელობო განათლება და უმაღლესი პროფესიული განათლება (უპგ). უპგ განეკუთვნება უმაღლეს განათლებას. სახელობო განათლების მიზანია პრაქტიკული და არა აკადემიური უნარ-ჩვევების დაუფლება.

უკანსაკნელი 2-3 წლის განმავლობაში განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ გატარდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები, რაც საექთნო განათლებასთან მიმართებაში გამოიხატა ორი დონის საექთნო სწავლების შემოღებაში. კერძოდ, ამჟამად ორი ტიპის დაწესებულებაა, რომელიც ამზადებს ექთნებს: უმაღლესი პროფესიული განათლებისა (უპგ) და სახელობო საექთნო განათლების სკოლები (2007 წლიდან). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით 2007 წლამდე არსებული საშუალო სამედი-

ცინო განათლების სამედიცინო სასწავლებლების (ტექნიკური სკოლა) კურსდამთავრებულები გაუთანაბრდა უმაღლესი პროფესიული განათლების დონეს.

სახელობო განათლების მიღება შესაძლებელია არასრული საშუალო განათლების (9 კლასი) შემდეგ 2 წელი სახელობო სასწავლებელში სწავლით. სწავლის დასაწყებად საჭირო არ არის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. კურსდამთავრებულს ენიჭება სტატუსი „მედ.და“ - ექთნის ასისტენტი და მისი მოვალეობაა პაციენტის საბაზისო მოვლა. ძალიან შეზღუდულია მანიპულაციების ჩატარების უფლება, მაგ. ინექციებიდან მხოლოდ კანქვეშა ინექციის (ინსულინი) გაკეთების უფლება მიენიჭა.

უმაღლესი პროფესიული განათლების მისაღებად აუცილებელია სრული ზოგადი განათლება (12 კლასი) და სწავლების 3 წელი. უმაღლესი პროფესიული განათლების მისაღებად საჭიროა გამარტივებული ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება.

სკოლის სრული კურსის გავლის გარეშე სახელობო განათლებიდან უმაღლეს განათლებაზე გადასვლა შეუძლებელია. საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით პიროვნებამ ჯერ უნდა ჩააბაროს მე-12 კლასის გამოცდა და შემდეგ გამარტივებული ერთიანი ეროვნული გამოცდა. განთლების და მეცნიერების სამინისტრო ამჟამად ამუშავებს რამოდენიმე ერთობლივ სქემას, რომ საშუალო განათლების მიღება შესაძლებელი იყოს სახელობო განათლების პარალელურად, როგორც ეს იყო საშუალო სამედიცინო განათლების არსებობის დროს.

საექთნო უმაღლესი პროფესიული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2007 წელს დაიწყო და ამჟამად აქ 400-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, 100 ექთანი დაამთავრებს მას 2010 წელს. პროგრამა ტარდება თსუ-ს „პროფესიული უმაღლესი მედიცინისა და ფარმაციის“ სკოლაში და განვითარდა პოლანდიის ხელშეწყობით. ეს არის 3 წლიანი მოდულების პროგრამა, რომელიც იძლევა უმაღლესი პროფესიული განათლების სერტიფიკატს 180 კრედიტისათვის (ევრო კრედიტის ტრანსფერის სისტემა). 2010-2011 სასწავლო წელს იხსნება როტერდამის ბებიჩალთა აკადემიასთან ერთად მომზადებული ბებიჩალთა საგანმანათლებლო პროგრამა. 2009 წელს კიდევ ხუთმა უნივერსიტეტმა დაიწყო ექთნების უმაღლესი პროფესიული განათლების განხორციელება, საერთო ჯამში 245 სტუდენტით.

2007 წელს საქართველოში 113 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი იყო რეგისტრირებული. საშუალო სამედიცინო სასწავლებლების აკრედიტაცია არ ხდებოდა. მისაღები კონტინგენტის სახეობა, მიღების ფორმატი და სასწავლო პროგრამების შინაარსი სასწავლებლებში განსხვავებული იყო. საშუალო სამედიცინო სასწავლებლების სასწავლო პროგრამები საექიმო პროგრამების ძალიან შეზღუდულ ვარიანტს წარმოადგენდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საექთნო კადრის განათლებას საექიმო კადრი აწარმოებდა და ახდენს დღესაც, რაც გამოწვეულია ქვეყანაში პედაგოგიის უფლების მქონე უმაღლესი განათლების მქონე ექთნების არარსებობით.

დღესაც საექთნო საქმის პედაგოგები ძირითადად ექიმები არიან, რომელთათვისაც პრაქტიკული გამოცდილების არარსებობის გამო საკმაოდ რთულია საექთნო საქმის ძირითადი საკითხების სწავლება. სწავლება ხდება უპირატესად ექიმის პერსპექტივაზე ფოკუსირებით, შედეგად ვიღებთ იმას, რომ კურსდამთავრებული ექთნები უფრო მეტად არიან ექიმის თანაშემწეები, ვიდრე საკუთარი კომპეტენციის მცოდნე პროფესიონალები.

ქართულ ენაზე თითქმის არ მოიპოვება მნიშვნელოვანი ლიტერატურა საექთნო საქმის შესახებ. ახალი თაობის სტუდენტები, რომელთაც მომავალ პროფესიად აირჩიეს საექთნო საქმე, საკმარისად კარგად ვერ ფლობენ უცხო ენებს (რუსული, ინგლისური), რომ ისწავლონ პროფესიული სასწავლო მასალები ამ უცხო ენაზე. ექთნების უმაღლესი პროფესიული განათლებისა და სახელობო განათლების პროგრამების მასწავლებლების პროფესიული გამოცდილება მოითხოვს განახლებას და რეორიენტაციას, რათა სწავლების დონე შეესაბამებოდეს მოთხოვნებს.

ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN - International Council of Nurses) განმარტებით „ექთანი ანხორციელებს ყველა ასაკის ინდივიდის, ოჯახების, ჯგუფებისა და საზოგადოების, დაავად-

ბულთა და კარგად მყოფთა ავტონომიურ და კოლაბორაციულ მოვლას ყველა სიტუაციაში. ექთნობა მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობას, დაავადებების პრევენციას, დაავადებული, უუნარო და მომაკვდავი ადამიანების მოვლას. საექთნო საქმის მნიშვნელოვანი ფუნქციაა დაცვა/ადეოკატირება, უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა, კვლევა, ჯანდაცვის პოლიტიკის ფორმირება, ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტი და განათლება“.

ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება საჭიროებს საფუძვლიან, მაღალი დონის განათლებას, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება მენეჯერულ და საგანმანათლებლო აქტივობებს. ქვეყანაში საექთნო საქმის შემდგომი განვითარებისათვის და აქედან გამომდინარე საექთნო მოვლის ხარისხის გაზრდის გზით საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აქტუალურია უმაღლესი საექთნო განათლების სისტემის დანერგვა. უმაღლესი განათლების მქონე ექთნებს აქვთ დამოუკიდებელი საექთნო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ბაკალავრის ხარისხის მქონე ექთანს შეუძლია აწარმოოს პაციენტის/მომხმარებლის სრული საექთნო შეფასება, საექთნო მოვლის დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების შეფასება და მონიტორინგი. ბაკალავრ ექთანს აქვს პედაგოგიური მოდულოების შესაძლებლობა, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის არის საქართველოში საექთნო პროფესიის განვითარებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც დანერგილია უმაღლესი საექთნო განათლება, ასევე არსებობს უფრო დაბალი დონის სამედიცინო განათლებაც და კომპეტენციები მკვეთრად გამოიხატულია.

ევრო პარლამენტის დირექტივა 2005/36/ და ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის „პროფესიული კვალიფიკაციის ცნობისა და შესწორებების აქტის“ მიხედვით საექთნო საქმიანობისათვის მაღალი მოთხოვნები არის წაყენებული. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო 2009 გვ 10) გამოაქვეყნა ექთნის ან ბებიჩალის საწყისი მომზადების გლობალური სტანდარტები, სადაც გაცხადებულია, რომ საექთნო საქმის მომავალი ითვალისწინებს მომზადებას პროფესიონალურ, პირველხარისხოვან დონეზე უნივერსიტეტში, ანუ საექთნო პროფესიის მისაღებად აუცილებელია საბაკალავრო პროგრამის გავლა უნივერსიტეტში.

საექთნო საქმის ბაკალავრის ხარისხის დანერგვას საქართველოში არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ არ არის შესაძლებელი, რომ მთელ პერსონალს, რომელიც მონაწილეობს პაციენტის მოვლაში, ჰქონდეს უმაღლესი განათლება, ერთზე მეტი დონის ექთნებია საჭირო. ამის შედეგად ხუსტად განისაზღვრება განსხვავება ექთნებს, მათ განათლებას, როლსა და პასუხისმგებლობებს შორის.

ახალი სამედიცინო სტრუქტურა კოსპიტალურ ქსელში

ღუღუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი გაიხსნა 2003 წლის მაისში, საექთნო საქმის პროფესიული ორგანიზებისათვის გამოყენებული იყო ძველი საბჭოური მოდელი, რომლის ძირითადი რგოლი იყო:

- ექთანი
- საშუალო სახელმძღვანელო რგოლი უფროსი ექთანი
- უმაღლესი სახელმძღვანელო რგოლი კლინიკის ექთანი.

ამ სტრუქტურის კადრებით უზრუნველყოფა, მთლიანად იყო დამოკიდებული კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაზე რომელიც პრაქტიკულად აღარ არსებობდა. კლინიკის გახსნის დღიდანვე ხელმძღვანელობის მხრიდან დაისვა საკითხი კლინიკაში საექთნო საქმის პროფესიული ორგანიზების ახალი სტრუქტურის შესაქმნელად.

საქართველოს ექთნების ასოციაციის გამოცდილების გამოყენებით ჩვენს მიერ, შემუშავდა საექთნო საქმის პროფესიული ორგანიზების ახალი სტრუქტურა, კონკრეტული კლინიკისათვის. გადასაწყვეტი იყო შემდეგი ამოცანები:

ექთნის პროფესიული მოვალეობების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ამ მოვალეობათა კონკრეტული შემსრულებლების ადგილის განსაზღვრა ერთიან სტრუქტურაში, პროფესიული ზრდის მოტივაციის შექმნა და ამ მოტივაციის დაკმაყოფილება შესაბამისი განათლების შიგა კლინიკური სისტემის შექმნით.

დასმული ამოცანების მიხედვით შემუშავდა შემდეგი სტრუქტურა:

არსებულ სტრუქტურაში შეყვანილი იქნა დამატებითი პროფესიული რგოლები:

- ექთნის თანაშემწე
- დეპარტამენტის უფროსი ექთანი.
- ხოლო განყოფილების უფროსი ექთანს შეეცვალა სახელწოდება სუპერვაიზერით და შეეცვალა ფუნქციები.

● ასევე შეეცვალა ფუნქციები დაბალ სამედიცინო პერსონალს სანიტრებს. აქაც გაიყო ფუნქციები მკვეთრად განისაზღვრა: დამლაგებლის ფუნქციებში დარჩა დერეფნების და სანიტარული კვანძების დალაგება:

- პაციენტთან მიმართებაში ფუნქციები განესაზღვრა ექთნის თანაშემწეს.
- პაციენტის ჰიგიენა
- კვება
- პალატაში საწოლების, შესახვევების და შოკის დარბაზების დასუფთავება, დეზინფიცირება.
- საოპერაციოში ნახშირი იარაღების რეცხვა დეზინფექცია.

ევროპული და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული საშტატო ნორმატივების მიხედვით ექთნების რაოდენობა გადანაწილდა ექთნის თანაშემწეების რაოდენობაზე რამაც ერთგვარი ეკონომიური ეფექტი მოგვცა სახელფა-

სო ფონდთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად შეიქმნა უწყვეტი განათლების შიგა კლინიკური ცენტრი. ცენტრის ხელმძღვანელობის ცენტრის უფროსი, რომლის განკარგულებაში არიან ინსტრუქტორ პედაგოგები, და იგი განსაზღვრავს პედაგოგიური პროცესის შინაარსს და გეგმას ცენტრის მთავარ ექთანთან ერთად.

განისაზღვრა სასწავლო პროგრამა 3 ძირითადი დონის მიხედვით,

I დონე – ყველასათვის (ექთნების და ექთნის თანაშემწეები) საერთო საბაზისო პრინციპების საფუძველზე აგებული:

- ინფექციის კონტროლი
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
- ავადმყოფის მოვლის ზოგადი პრინციპები

II დონე – ექთნებისათვის და ექთნის თანაშემწეებისათვის ცალ-ცალკე

- ინფუზიური თერაპია
- მედიკამენტების მიღების გზები და დოზირებები

- სამედიცინო ნარჩენების მენეჯმენტი და სხვა.

III დონე – სწავლება ვიწრო სპეხიალიზაციის მიხედვით

- ბებიაქალებისათვის
- ანესთეზიის ექთნებისათვის
- საოპერაციო დებისათვის
- კრიტიკული და გადაუდებელი დახმარების განყოფილების ექთნებისათვის და სხვა.

ამასთან ერთად შემუშავდა აღნიშნული სტრუქტურის დანერგვის დროითი და შინაარსობრივი სქემა. შემუშავების და დანერგვის პროცესმა სამი წელიწადი მოიცვა. ამდენად 2006 წლიდან ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები სრული მასშტაბით ამუშავდა.

განვლილი 4 წლის განმავლობაში, გამოიკვეთა, აღნიშნული პროფესიული სტრუქტურის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

აღნიშნული სტრუქტურის დადებით მხარედ მიგვაჩნია:

სტრუქტურაში ახალი თანამდებობების შეყვანამ საშუალება მოგვცა უფრო მკაფიოდ განგვესაზღვრა პროფესიული მოვალეობები და კონკრეტული პასუხისმგებლობები, ექთნის თანაშემწის შეყვანამ სტრუქტურაში საშუალება მოგვცა გაგვენათვისუფლებინა ექთანი შედარებით ნაკლებად კვალიფიციური სამუშაოსაგან რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ექთნის მოვალეობა პაციენტის მოვლის პროცესში, შეამცირა სახელფასო დანახარჯები და შექმნა პროფესიული ზრდის მოტივაციური მოთხოვნა ექთნის თანაშემწის მხრიდან.

აქვე მინდა ავღნიშნო – სწავლების და გარკვეული პერიოდის მუშაობის შემდეგ, დაახლოებით 30 % ექთნის თანაშემწეებისა და გადავიდა ექთნის პოზიციაზე.

სუპერვაიზერის მოვალეობებში შეტანილმა ცვლილებებმა გაზარდა საექთნო მომსახურების

ხარისხი, ზედამხედველობას უწევს ექთნების მუშაობას და დანიშნულების შესრულების ხარისხს, რომ მაქსიმალურად იქნეს მიღწეული პაციენტის კმაყოფილება.

საექთნო დოკუმენტაციის წარმოების ხარისხი – მედიკამენტების ხარჯვის აღრიცხვიანობა და საინფორმაციო ბაზაში შესაბამისი დაფიქსირება. რამაც თავის მხრივ აღმოფხვრა დახარჯული მედიკამენტის გაბნევის და გაზარდა საბოლოო კალკულაციაში რეალური ხარჯვის დაფიქსირების ხარისხი.

საექთნო განათლების შიგა კლინიკური ცენტრის შექმნამ, საშუალება მოგვცა დაგვეკმაყოფილებინა როგორც უწყვეტი განათლების გეგმიური ასევე, უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის მთავარი ექთნის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილი ოპერატიული საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება.

ჩვენს მიერ შემუშავებული და დანერგილი სტრუქტურის უარყოფით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს მისი იზოლირებულობა, ზოგადად ქვეყანაში არსებული საექთნო საქმის პროფესიული მდგომარეობისაგან.

არ არის მიღებული საექთნო საქმის განსაზღვრება;

საექთნო საქმის პროფესიული მოდელი; არ არის შემუშავებული შესაფერის დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი უწყვეტი განათლების სისტემა;

არ არის შემოღებული უმაღლესი საექთნო განათლება.

ასეთი მდგომარეობა ართულებს ღუდუშაურის კლინიკაში ახალი საექთნო კადრებით მომარაგების საკითხს და პროფესიული ზრდის საკითხს.

მდგომარეობის გამოსწორება გვიწევს საკუთარი შიგა კლინიკური საგანმანათლებლო შესაძლებლობებით, რაც რასაკვირველია ვერცვლის დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი უწყვეტი საექთნო განათლების

საერთო სახელმწიფო სისტემას.

მიგვანჩია რომ ღუდუშაურის კლინიკის გამოცდილება შეიძლება იქნეს გამოყენებული ქვეყნის სხვა კლინიკებში თუმცა მისი ეფექტურობა გაცილებით გაიზრდება შესაბამისი საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების ფონზე. რაც გულისხმობს საექთნო საქმის დამოუკიდებელ პროფესიად ჩამოყალიბებას,

ანუ რეგულირებად პროფესიათა ნუსხაში მოხვედრას, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფით.

ტ.ბარსებანიშვილი

აივ/შიდსი – გლობალური პრობლემა იმუნდეფიციტის ვირუსი/ შექენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი

გ. შვანიას სახელობის კლინიკა, ჩვილ ბავშვთა თერაპიული განყოფილება, მედლა ქმთიშან შარბიძაძე განყოფილების გამგე, მედიცინის დოქტორი თინა ღონღაძე

შიდსი – შექენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, მისი გამომწვევია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ-ი). აივ ინფექცია ეწოდება დაავადებას ვირუსით ინფიცირების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე. ტერმინით “შიდსი” აღინიშნება აივ ინფექციის ბოლო სტადია. აივ-ი ადამიანის ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს იმუნურ სისტემას, რის შედეგად ინფიცირებულ პირს შესაძლოა განუვითარდეს ნებისმიერი ინფექცია ან/და სიმსივნე, ხშირად, სასიკვდილო შედეგით.

ინფიცირების საწყის ეტაპზე დაავადების ნიშნები ფაქტობრივად არ ვლინდება, ამიტომაც სათანადო კვლევების გარეშე ძნელია განსაზღვრო, არის თუ არა პიროვნება აივ-ით ინფიცირებული.

აივ-ი მიეკუთვნება რნმ-ის შემცველ რეტროვირუსების ოჯახს, ნელი მიმდინარეობის ვირუსული ინფექციების – ლენტვირუსების ქვეჯგუფს, შესაბამისად დრო ინფიცირებასა და სერიოზული სიმპტომების გამოჩენას შორის ხშირად საკმაოდ დიდია.

ვირუსის სტრუქტურულ კომპონენტებს აქვთ ანტიგენურობის უნარი, რომელიც განაპირობებს სპეციფიკური იმუნოგლობულინების სინთეზს, მა-

თი განსაზღვრა კი გამოიყენება ინფექციის დიაგნოსტიკისა და ვირუსის ტიპის დასადგენად.

ვირუსი გარემოში არამდგრადია და ადვილად კვდება სხვადასხვა გარემო ფაქტორებისა თუ ხსნარების ზემოქმედებისას.

აივ/შიდსის ეპიდემია დინამიური და მზარდი ხასიათისაა და საოცარი სისწრაფით მოიცავს მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კონტინენტს, ყველა ქვეყანა და დაამტკიცა, რომ იგი თანაბრად ემუქრება ყველას რასის, სქესის, ასაკის, ეროვნების, განათლებისა და სარწმუნოების მიუხედავად. ჯანმო-ს მონაცემებით შიდსს მსოფლიოში სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მეოთხე ადგილი უკავია.

შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს 216 ქვეყანაში. მათგან 41 ქვეყანაში აქვს გენერალიზებული ხასიათი, ხოლო 85-ში – კონცენტრირებულია მხოლოდ მაღალირისკის ჯგუფებში. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 40 მლნ ადამიანი ცხოვრობს აივ/შიდსით, აქედან 1/4 არის 15-24 წლამდე ასაკის; 15 წლამდე ასაკის ბავშვი კი – 2.2 მლნ.

საყურადღებოა აივ ინფიცირებულ ორსულ ქალთა და ახალშობილთა რაოდენობის მზარდი დინამია. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ბავშვთა 90% აივ-ით ინფიცირდება ვერტიკალური (დედიდან შვილზე გადაცემის) გზით.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანია შიდსის გამო დაობლებული ბავშვები. მხოლოდ სუბსაპარულ აფრიკაში შიდსის შედეგად დაახლოე-

ბით 12 მილიონ ბავშვს დაეღუპა ერთი ან ორივე მშობელი.

თუმცა საქართველო ითვლება დაბალი პრევალენსის ქვეყანად (პრევალენსი ანუ საერთო რიცხვი დაახლ. 0,13 %0), მაგრამ რისკი ეპიდემიის გავრცელებისა იზრდება, რადგანაც – 1) მატულობს ნარკოტიკების ინტრავენურად მომხმარებელთა რიცხვი (>100 000); – 2) მიგრაცია აქტიურად ხდება მაღალი რისკის ქვეყნებში – უკრაინა და რუსეთი.

საქართველოში 2010 წლის 15 მაისის მონაცემებით ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 2377 შემთხვევა. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. შიდსი განუვითარდა 1325 პაციენტს, 506 გარდაიცვალა.

მსოფლიოში მხოლოდ 2005 წელს დაინფიცირდა 4.9 მილიონი ადამიანი. მათ შორის 700 000 გარდაიცვლილი 15 წლის ასაკის ბავშვია; 2005 წელს სულ გარდაიცვალა 2,9 მილიონი ადამიანი, მათ შორის - 570 000 15 წლამდე ასაკის ბავშვი.

აივ ინფიცირებულთა განაწილება გადაცემის გზების მიხედვით:

- ინტრავენური ნარკომანია 58,9 %
- ჰეტეროსექსუალური კონტაქტი 34,9 %
- ჰომოსექსუალური კონტაქტი 2,4 %
- ვერტიკალური გზით 2,1 %
- დაუდგენელია 1,1 %
- სისხლის გადასხმით 0,6 %

აივ ინფიცირების ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში 782, შემდეგ სამეგრელოში - 366, აჭარაში - 318 და იმერეთში – 304.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს ადამიანი, რომელიც იმყოფება ინფექციური პროცესის ნებისმიერ სტადიაში. ინფიცირებული ადამიანის ორგანიზმში ვირუსი სხვადასხვა სუბსტრატში იმყოფება, ყველაზე დიდი რაოდენობითაა სისხლში, სპერმაში, საშოს გამონადენში, დედის რძეში, თავზურგ-ტვინის სითხეში, ლიმფურ კვანძებში, თავის ტვინში, ნაკლები კონცენტრაციით კი – ცრემლში, ნერწყვში, ოფლში.

არსებობს აივ ინფექციის გადაცემის 3 ძირითადი გზა:

დაუცველი სქესობრივი კონტაქტით (პრეზერვატივის გარეშე) აივ ინიცირებულ პირთან;

ინფიცირებულ სისხლთან ექსპოზიციით – აივ ინექციების და სხვა ინვაზიური მანიპულაციებისას არასტერილური, დაბინძურებული სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებით. ყველაზე ხშირად გადაცემა ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარებისას ხდება აივ ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცებისა და ნემსების გამოყენებით

ინფიცირებული დედიდან ბავშვზე ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების შედეგად.

დადასტურებულია, რომ შიდსის ვირუსი არ გადაეცემა აივ ინფიცირებულთან:

- ხელის ჩამორთმევით, მოხვევით, კოცნით;
- დახვევებით, ცემინებით, საერთო საკვების ან

ჭურჭლის გამოყენებით;

საეთო ტუალეტით ან აბაზანით სარგებლობით;

საცურაო აუზით სარგებლობით; კოლოსა და მწერების ნაკბენით.

ყოველივე აღნიშნულის ცოდნა გვეხმარება სტიგმისა და დისკრიმინაციის დათრგუნვაში.

პროფილაქტიკა

შიდსი საყოველთაო პრობლემაა და მიეკუთვნება იმ დაავადებებს, რომელთა განკურნება თანამედროვე სამკურნალო საშუალებებით შეუძლებელია. ამიტომ აივ ინფექცია/შიდსით დაავადების თავიდან აცილებას, პროფილაქტიკას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის სპეციფიური საშუალება ვაქცინაა, მაგრამ სამწუხაროდ, აივ ინფექცია/შიდსის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ამ მიმართულებით მსოფლიოს საკმაოდ დიდ ფინანსური და ინტელექტუალური პოტენციალია მიმართული და რამდენიმე ათეული ვაქცინა გადის აპრობაციას.

სადღეისოდ საქართველოში, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, აივ ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკური ღონისძიებები ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს:

- ბოისამედიცინო (სამედიცინო მანიპულაციების უსაფრთხოება, დონორთა სისხლისა და /ან ორგანოების ტესტირება, სტერილიზაცია-დეზინფექციის პრინციპების დაცვა);

- ქცევითი სფერო: მას მიეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის გადაცემასთან დაკავშირებული სარისკო ქცევების მქონე ჯგუფების გამოვლენა, აგრეთვე იმ პირების გამოვლენა, რომლებიც იმყოფებოდნენ აივ ინფექცია/შიდსის მხრივ არაკეთილსაიმედო ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი და სხვ.), იძულებით ადგილნაცვალა პირები (ღტოლვილები), ჰემოფილიით ან სხვა დაავადებით სისხლის ხშირი რეციპიენტები.

რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება გარკვეული პროფესიის სამედიცინო პერსონალი (ქირურგები, გინეკოლოგები, სისხლის ლაბორატორიის თანამშრომლები, რომელთაც კონტაქტი აქვთ სისხლთან, აგრეთვე ექთნები, რომლებიც ატარებენ სამედიცინო მანიპულაციებს და სხვა).

შიდსით ინფიცირების რისკი საკმაოდ მაღალია აივ ინფიცირებული ორსულის ნაყოფისათვის. ამიტომ აუცილებელია ორსულის დროული და ნებაყოფლობითი დიაგნოსტიკა და შესაბამისი მკურნალობის დაწყება ანტენატალურად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ბავშვის დაინფიცირების რისკი;

ცნობილია, რომ მკურნალობის გარეშე 2-დან 1 ინფიცირებული ჩვილი იღუპება 2 წლის ასაკის მიღწევამდე. ასევე მნიშვნელოვანია დროული ანტირეტროვირუსული (ან კოტრიმოქსაზოლით) მკურნალობის დაწყება ჩვილში პედიატრის მიერ.

აქვე მინდა შევეხოს აივ/შიდსთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს; აივ/შიდსის

პროფილაქტიკა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არსებობს სპეციალური კანონი “საქართველოს კანონი შიდსის პროფილაქტიკის შესახებ”, რომლითაც რეგულირდება ინფიცირებულთა გამოფლენა, კვლევები, მკურნალობა, მკურნალობის ხარჯები, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა პროფილაქტიკური მეთვალყურეობა;

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, სამედიცინო მუშაკთათვის, კანონი – აივ ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულთა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა პროფილაქტიკური მეთვალყურეობა, ასევე აივ-ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულთა უფლება-მოვალეობანი, რომელიც მი-

რითადად ითვალისწინებს სათანადო დაწესებულებების ინფორმირებას მათი დაავადების შესახებ, რათა არ მოხდეს სხვათა დაინფიცირება შეგნებულად, რაც ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ შიდსი ფატალური და განუკურნებელი დაავადებაა, მისი გამოფლენა და შესაბამისი მკურნალობა ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას და ხარისხს და რაც უფრო მნიშვნელოვანია შეიძლება აივ/შიდსისაგან თავის დაცვა ანუ პრევენცია, ამისთვის აუცილებელია განათლება არამარტო რისკის ქვეშ მყოფი ადამიანების და მათი ახლობლების, არამედ მთელი საზოგადოების.

გენური ინჟინერიის მიღწევები და მასთან დაკავშირებული რისკები

ავტორები: მერი ვულანია, მარინა ჩიქოვანი

გენური ინჟინერია და ბიოტექნოლოგია ექვემდებარება მიზანდასახულ მემკვიდრეობით ცვალებადობას და ქმნის ახალ საშუალებებს გენეტიკის მიღწევების გამოყენებისათვის პრაქტიკაში.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია სათავეს იღებს XX საუკუნის 70-იანი წლებიდან და თეორიულად ეფუძნება გენეტიკისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის მიღწევებს. თავდაპირველად ცნობილი გახდა ორგანიზმების გენეტიკური ინფორმაციის მტარებელი ნივთიერების – დნმ-ის სტრუქტურა, ხოლო შემდეგ, შეძლეს კონკრეტული თვისებების განმსაზღვრელი გენების იზოლირება, მათი მოდელირება და ჩანერგვა სხვა ორგანიზმის უჯრედებში. მის შედეგად, უკვე შესაძლებელი გახდა მცენარის ან ცხოველის ამა თუ იმ სახეობისათვის „სასურველი“ თვისებების მინიჭება. ამგვარად წარმოიქმნენ, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები.

თანამედროვე გენური ინჟინერიის საშუალებით ხდება ორგანიზმების გენეტიკური მასალის იმგვარი შეცვლა, რაც შეუძლებელია მოხდეს ბუნებრივი ევოლუციის გზით ან ტრადიციული სელექციური მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდებმა შესაძლებელი გახადა გადალახულიყო სხვადასხვა სახის ორგანიზმებს შორის არსებული ბუნებრივი-ფიზიოლოგიური, რეპროდუქციული და რეკომბინანტული ბარიერები.

გენურ ინჟინერიაში შეიძლება გამოიყოს ორი კატეგორია: ტრანსგენეზი – გენომიდან გამოყოფილი ან ხელოვნურად სინთეზირებულ გენთა გადატანა სხვა გენომში და უჯრედული ჰიბრიდიზაცია – სხვადასხვა ორგანიზმების უჯრედების შერწყმის მეთოდები.

გენეტიკურად მოდიფიცირებული (ტრანსგენური) ორგანიზმიდან იწარმოება გენმოდიფიცირებული პროდუქტები – წამლები, ვაქცინები, საკვები პროდუქტები, კვებითი ინგრედიენტები, ცხოველთა საკვები, ქსოვილები, პარფიუმერული ნაწარმი.

მედიცინისათვის პირველი და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი შედეგი იყო ჰორმონ ინსულინის სინთეზი. მნიშვნელოვანია, ის გარემოებაც, რომ ამგვარად მიღებული ინსულინის გამოყენებას თან არ ახლავს ის გვერდითი მოვლენები, რაც ხშირად აღინიშნებოდა ცხოველური ინსულინის ინექციისას აღერგიული რექციების, თირკმლების ფუნქციის დარღვევების და სხვა გართულებების სახით. დიდი სამუშაოებია ჩატარებული გენური ინჟინერიის გზით სხვა ცილოვანი ნაერთების, ადამიანის ჰორმონებისა და იმუნური ანტისხეულების მიღების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ტრანსგენეზით მიღებულ მრავალ ორგანიზმს, ვაქცინების, ფარმაცოლოგიური პრეპარატებისა და ანტისხეულების პროდუქციების უნარი გააჩნიათ. მაგალითად, ავსტრალიაში უკვე მიიღეს მზა ანტისხეულების შემცველი რძე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ. მომავლისათვის დაგეგმილია მცენარეთა ისეთი ხაზების მიღება, რომლებიც გამოიმუშავენ ადამიანის ჰეპატიტის ვაქცინას. ასევე, იაპონელმა მეცნიერებმა, ღორის ორგანიზმში ისპანახის გენის ჩანერგვით მიიღეს ტრანსგენური ღორი, რომლის ხორციც თავისუფალია ადამიანისათვის საზიანო მრავალი ნივთიერებებისაგან.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მნიშვნელოვანი შედეგია გენური თერაპია, რაც გულისხმობს გენეტიკური მანიპულაციებით პათოლოგიების კორექციას. გენური თერაპიის პრინციპული მხარეები ადამიანში გადაწყვეტილია, რაც გულისხმობს გენების იზოლირებას და გამოცალკავებული გენების „ჩაშენებას“ უცხო უჯრედში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ „ქირურგია“ გენების ტრანსპლანტაციისა ეჭვს გარეშეა.

გენური თერაპიის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელია სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა:

მუტანტური გენის ზუსტი ლოკალიზაციის დადგენა

გენის რეგულაციის მექანიზმების დადგენა

სამკურნალო გენის ეფექტური ვექტორების შემუშავება.

კლინიკაში გენური თერაპიის პირველი წარმატებული ცდა განხორციელდა 1990 წელს 14 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი დაავადება, რომლის განკურნებაც მოხერხდა, აღენოზინ-დეზამინაზას დეფიციტით განპირობებული პირველადი კომბინირებული იმუნოდეფიციენტი იყო.

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეორე მნიშვნელოვანი პრაქტიკული მიმართულებაა მისი გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ბიოტექნოლოგიის გზით მიღებული გენმოდიფიცირებული პროდუქტები მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტი ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი საკვები პროდუქტისაგან, ზოგჯერ კი კვებითი ღირებულებით აღემატება თავის ბუნებრივ ანალოგს. მაგალითად, გენმოდიფიცირებული სოია მდიდარია უჯერი ცხიმებით და ამიტომ მისი კვებითი ღირებულება უფრო მაღალია. რაც შეეხება გენმოდიფიცირებულ რაფსს, ის ნაჯერი ცხიმების ძალზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა. ამგვარი მცენარის ცხიმი ფართოდ გამოიყენება შოკოლადის, ყავის, ნაყინის წარმოებაში, აგრეთვე კოსმეტიკურ ინდუსტრიაში. პირველი ტრანსგენური ბოსტნეული პომიდორისა და კარტოფილის სახით, ამერიკის სუპერმარკეტებში 1994 წლიდან გამოჩნდა. პომიდორი, რომელიც ტრანსპორტირებით არ ფუჭდებოდა და დიდხანს ინარჩუნებდა სასაქონლო სახეს (მოგვანებით მომწიფება). ბიოინჟინერიის შემდეგი საოცრება იყო კარტოფილი, რომელსაც ვერ აზიანებდა კოლორადოს ხოჭო (კარტოფილში შეყავთ ბაქტერიის გენი, რომელიც გამოიმუშავებს სასიკვდილო შხამს ხოჭოს წინააღმდეგ).

ამჟამად, მიღებულია 120-ზე მეტი გენმოდიფიცირებული მცენარე (პომიდორი, კარტოფილი, სოია, სიმინდი, წიწაკა, ნესვი და ა. შ.). აღნიშნული ტრანსგენური კულტურები ყოველწლიურად უკვე ითესება მილიონობით ჰექტარზე. მათი ძირითადი მიწარმოებული ქვეყნებია აშშ, არგენტინა, კანადა, ავსტრალია და ჩინეთი. რაც შეეხება ტრანსგენურ ცხოველებს, მათი მიღება 1980 წლიდან იწყება. ამ დროიდან წარმატებით ხორციელდება ტრანსგენეზი ისეთ ცხოველებში, როგორებიცაა: ბოცვერები, ღორები, ცხვრები. ტრანსგენური ძუძუმწოვარი ერთის მხრივ საუკეთესო ექსპერიმენტული მოდელია ადამიანის პათოლოგიების შესასწავლად, მეორე მხრივ, კი ამგვარ ცხოველებს წარმატებით იყენებენ ადამიანისათვის სასარგებლო პროდუქტების მისაღებად – გენური ინჟინერიის საშუალებით ზოგიერთ ცხოველს ე.წ. „ბიორეაქტორებად“ გადაქმნიან, რის შედეგადაც რძეში გამოიყოფა სასურველი ქიმიური ნივთიერებები.

თანამედროვეობის ერთერთ გლობალურ პრობლემას წარმოადგენს საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდა, რაც დაკავშირებულია პლანეტის მოსახლეობის ზრდასთან. 2020 წლისათვის მსოფლიოში სავარაუდოდ, 8 მილიარ-

დი მაცხოვრებელი იქნება, შესაბამისად სულ უფრო გამწვავდება მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი, რის გადაწყვეტაშიც მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ ტრანსგენური პროდუქტების წარმოებას.

გენურ თერაპიას დღეისათვის რამდენიმე პათოლოგია დაექვემდებარა და გრძელდება კვლევები ისეთი პათოლოგიების კორექციის მიმართულებით, როგორებიცაა: ჰემოგლობინოპათიები, ჰემოფილია, ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევები, კუნთოვანი დისტროფიები, ლიზოსომური პათოლოგიები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გენური თერაპიის გამოყენება მხოლოდ პათოლოგიის კორექციით არ შემოიფარგლება, არამედ შესაძლებლობას იძლევა უჯრედებს შეეძინოს ახალი თვისებები, რომლებიც გააძლიერებენ დაავადებისადმი ორგანიზმის ბრძოლის უნარს (ვაქცინები, ანტისეპტულები).

მეცნიერთა ჯგუფი თვლის, რომ საკვებში გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენება მართალია არ გვაძლევს მუტანტებს, მაგრამ მასში არის პოტენციური საფრთხე. კერძოდ, ამ პროდუქტებს შეუძლიათ მომდევნო თაობებში ისეთი დარღვევების პროვოცირება, რომლებიც ადრე არ გვხვდებოდა. მათი აზრით, უცხო გენების ჩანერგვის არასრულყოფილი მეთოდები და კონტროლის შეუძლებლობა შეიძლება გახდეს სიზღვი მრავალი მძიმე დაავადების და მათ შორის ონკოლოგიურის. ამაზე მიგვითითებს მწვანეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ ფართობებზე სადაც მოყავთ გენმოდიფიცირებული კულტურები მნიშვნელოვნად შემცირდა მწერების სახესხვაობები. ასევე ქვეყნებში, სადაც იკვებებოდნენ ტრანსგენური სოიას პროდუქტებით, გახშირდა ისეთი დაავადებები, როგორებიცაა: გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, კუჭქვეშა ჯირკვლის ჰიპეტროფია და ჰიპერპლაზია, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ნერვული სისტემის და კანის დაავადებები - ეგზემა, აკნე. მიმდინარე მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები, ასევე მიუთითებს გენმოდიფიცირებული საკვების ტოქსიურობაზე, ალერგიული და მუტაგენურ ბუნებაზე. გენმოდიფიცირებული კარტოფილის გამოყენების შედეგად საცდელ ცხოველებში შეიცვალა სისხლის სურათი, შემცირდა ტვინის მოცულობა, შესუსტდა ორგანიზმის იმუნიტეტი, შემცირდა სიცოცხლისუნარიანობა და რაც მეტად საგულისხმოა მათ მოგვცეს შთამომავლობა თანდაყოლილი პათოლოგიებით.

ლიტერატურაში ასევე არსებობს მონაცემები ორსულ ქალებზე გენმოდიფიცირებული პროდუქტების უარყოფითი გავლენის შესახებ, რაც გამოიხატება ნაყოფის თანდაყოლილი სიმასინჯეებით, სხვადასხვა პათოლოგიებით და მუტაციებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის სიკვდილიც.

ყოველივე ზემოთაღნიშნული მიუთითებს, რომ მიუხედავად დადებითი მხარეებისა, ტრანსგენური ორგანიზმები და მათი პროდუქტები წარმოადგენენ ახალ საფრთხეს კაცობრიობისათვის. აუცი-

ლებელია შეიქმნას სათანადო მარეგულირებელი სისტემები, რათა მინიმუმამდე იქნას შემცირებული მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები.

ამ მიზნით უნდა ჩატარდეს: აქტიური ინფორმაციული კამპანია, დაკავშირებული ტრანსგენური პროდუქტების მოხმარებასთან და ტრანსგენური პროდუქტების მარკირება, რათა თითოეულ ადამიანს ჰქონდეს არჩევანის საშუალება.

რეზიუმე

გენეტიკური ინჟინერია და ბიოტექნოლოგია ფართოდ შემოიჭრა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. მოსახლეობა არასაკმარისადაა ინფორმირებული ბიოტექნოლოგიების მიღწევების შესახებ. გენური ინჟინერიით მიღებული ორგანიზმებიდან იწარმოება გენმოდულირებული პროდუქტები: წამლები, ვაქცინები, საკვები პროდუქტები, ქსოვილები, პარფიუმერული ნაწარმი. ლიტერატურაში არსებობს საგულისხმო სამეცნიერო კვლევები, რომლებიც მიუთითებს გენმოდულირებული პროდუქტის ტოქსიკურობაზე, ალერგულ და მუტაგენურ ბუნებაზე.

სასურველია შეიქმნას მარეგულირებელი სისტემები, რათა მინიმუმამდე იქნას შემცირებული ტრანსგენური პროდუქტების გამოყენებასთან და-

კავშირებული რისკები. ამ მიზნით საჭიროა ჩატარდეს: 1. აქტიური ინფორმაციული კამპანია, დაკავშირებული ტრანსგენური პროდუქტების მოხმარებასთან; 2. ტრანსგენური პროდუქტების სავალდებულო მარკირება, რათა თითოეულ ადამიანს ჰქონდეს არჩევანის უფლება.

RESUME

Genetic engineering and Biotechnology has penetrated a modern man s life. The population is not fully informed about the latest achievements in the fields of biotechnology, which explains the society s positive and negative attitudes towards transgenic products. The organisms created by genetic engineering are the products of gene modified products e.g.; medicines, vaccines, food products, textile, and perfumery products.

Transgenic organisms and their products constitute a new threat to humanity. It is desirable to create regulatory systems in order to minimize the risks related to their utilization.

For this purpose it is enviable to conduct following activities: 1. Active informational campaign associated with transgenic product usage. 2. Obligatory marking of transgenic products to give every person right of choice.

საქართველოს კერძო კონსულტინგური და ანალიტიკური კომპანია „ინოვაციური-სერვისი“-ს როლი კოვადივიდის ეპიდემიის დაპყრობის შედეგად.

**ბ. ჩახუნავაძე; ნ. ბაგრაძე;
ზ. შაქარაშვილი, ნ. თოფჩიანი, ნ. ჯობაძე
გ. ჟვინას სახელობის პედაგოგიური კლინიკა**

იმუნოგაბილიტაცია გულისხმობს კომპლექსური სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ზემოქმედებით იმუნური სისტემის ფუნქციური დარღვევების აღდგენას ნორმამდე, ავადმყოფის სრულ გამოჯანმრთელებას, ან მყარი კლინიკო-იმუნოლოგიური რემისიის მიღწევას.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ავადმყოფის მდგომარეობის კლინიკური გაუმჯობესება, სუბიექტური სიმპტომატიკა ხშირად წინ უსწრებს იმუნური ჰომეოსტაზის ნორმამდე აღდგენას და თუ ასეთ ავადმყოფებს სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ ჩაუტარდათ იმუნოგაბილიტაცია, მათი უმეტესი ნაწილი დაბრუნდება რეციდივით, ან მოგვცემს პათოლოგიური პროცესის ქრონიზაციას.

ის ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ დარღვევები იმუნური ჰომეოსტაზის მხრივ საჭიროებენ ხანგრძლივ, გეგმაზომიერ, დიფერენცირებულ და პათოგენზურ იმუნოგაბილიტაციას, რომელიც შეესატყვისება გამოვლენილი კლინიკო-იმუნოლოგიური დარღვევების სიღრმეს და

გულისხმობს მკურნალობის ყველა ეტაპზე ისეთი იმუნომაკორეირებელი პრეპარატებისა, თუ მკურნალობის მეთოდების გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს იმუნური დისბალანსის ნორმალიზაციას.(1,4)

იმუნოგაბილიტაცია უნდა იყოს ეტაპობრივი და მიმდინარეობდეს იმუნოლოგიური მონიტორინგის ქვეშ. მისი პირველი ეტაპი ტარდება სტაციონარის პირობებში. ის არის სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესი, რომელიც მიმართულია იმუნური ჰომეოსტაზის დარღვეული სისტემების აღდგენისაკენ და გულისხმობს იმ პათოლოგიური მდგომარეობის გამოვლენას და მკურნალობას, რომელიც განაპირობებს იმუნურ დისბალანსს. ამ ეტაპზე იმუნური სისტემაში არსებული დეფექტის სიღრმის მიხედვით მიზანდასახული იმუნომაკორეირებელი თერაპიისათვის ისახდებოდა ბაზისური პრეპარატი და ტარდება მკურნალობა.

იმუნოგაბილიტაციის მეორე ეტაპია – ამბულატორია და გულისხმობს აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას ამბულატორიულ პირობებში. სამკურნალო ღონისძიებების კომპლექსი მოიცავს: იმუნოტროპული სამკურნალო პრეპარატების დაინიშნას, ბიოაქტიური საშუალებების გამოყენებას, რომელიც შემავსებელია და იმუნომოდულა-

ციური თვისებებითაც ხასიათდება. მათ ჯგუფს მიეკუთვნება სიცოცხლისათვის საჭირო ამინომჟავებით გამდიდრებული უალკოჰოლო გამამსხვეველი სასმელი „ივერიული ფიტო“

მესამე ეტაპი შემანარჩუნებელი იმუნორეაბილიტაციაა. იგი ტარდება სანატორიუმებში და კურორტებზე ყოველწლიურად, წელიწადში 24 დღის განმავლობაში მაინც. ის იმუნორეაბილიტაციის მნიშვნელოვანი ეტაპია და ითვალისწინებს დამატებით კურორტული ფიზიკური ფაქტორების ფართოდ გამოყენებას: ჰიპერბარული ოქსიგენოთერაპია, როდონის, გოგირდის აბაზანები, სამკურნალო ტალახი, სამკურნალო წყლები, ასევე სამკურნალო ფიზიკულტურა, მასაჟი, მაგნიტო და ლაზეროთერაპია და სხვა.(2)

სანატორიულ-კურორტული მკურნალობის პროცესში სრული რეაბილიტაციის მისაღწევად გარდა ფიზიკური საშუალებებისა და ჰაერისა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად წარმართულ კვების რაციონს, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინგრედიენტს და მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებით.

ამდენად აქტუალურია ამინომჟავებითა და ვიტამინებით გამდიდრებული ენერგეტიკული სასმელი „ივერიული-ფიტოს“ გამოყენება, რომელთა ჩართვაც კვებით რაციონში სანატორიულ-კურორტული მკურნალობის ეტაპზე მნიშვნელოვნად დააჩქარებს რეაბილიტაციის პროცესს.

ჩვენს კლინიკას აქვს ქართული წარმოების ამინომჟავებითა და ვიტამინებით გამდიდრებული ენერგეტიკული სასმელის „ივერიული-“ გამოყენების დიდი გამოცდილება, რომელიც წარმატებით გამოიყენება მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით, სპორტსმენთა კვებით რაციონში.

ასევე, მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა ენერგეტიკული სასმელი „ივერიული-ფიტო“, ის დამზადებულია ქართული ყურძნის ბადავისა და ფუტკარის პროდუქტისაგან. მისი მდგრადობა შენარჩუნებულია დაფინის ფოთლის საშუალებით და არა კონსერვანტებით. არ შეიცავს ამოზნებ და ნარკოტიკულ მინარევებს.

გრძელი ხორთუმისა და ფრენის დიდი რადიუსის მქონე ქართული ფუტკარის მიერ შეგროვილი ყვავილის მტვერი მდიდარია ორგანიზმის შენების, განვითარებისა და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებებით: ცილებით (შეიცავს ამინომჟავების 22 სახეობას, მათგან შეუცვლელს), ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, გლიკოზიდებით, ვიტამინებით (A,B,C,D,PP,E,K, ფოლის მჟავა), ფოსფორტერინებით, რუტინით (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ბიოფლავინოიდი), მიკრო და მაკროელემენტებით (Fe,Zn,Cu,F). ზოგადად ისინი გამოიყენებიან მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომი რეაბილიტაციისათვის, გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვისას, ნერვული სისტემის მეტაბოლიზმისა და ცილოვანი ცვლის გასაუმჯობესებლად, პარენტრალური კვებისას, ვეგეტარიანელებისათვის და

მათთვის ვის კვებით რაციონშიც ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მცირეა, არეგულირებს იმუნიტეტს, გამოიყენება იმუნოდეფიციტის დროს., აუმჯობესებს ფილტვების ვენტილაციას, მათში ჟანგბადის მიწოდებას, მწვავე რესპირატორული დაავადებების დროს და მათი პროფილაქტიკის მიზნით, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს: ბრონქიტები, პნევმონიები, ტუბერკულოზი, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს, ანტირადიაციული საშუალებაა, ხელს უწყობს მოზარდთა სიმაღლეში ზრდას, აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა სისტემისა და კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციას, ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში, ენდოკრინოლოგიაში: შაქრიანი დიაბეტის და ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის დროს.

სიცოცხლისათვის საჭირო ამინომჟავებით გამდიდრებული, ნატურალური, ენერგეტიკული სასმელი „ივერიული ფიტო“-ს გამოყენება სპორტსმენთა რეაბილიტაციაში ხელს შეუწყობს მათ ადაპტაციას ინტენსიური დატვირთვის პირობებში. სპორტსმენთა ჯანმრთელობისათვის მის მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წრვთისა და შეჯიბრის დამთავრების შემდეგ, ორგანიზმში აღდგენითი პროცესების ეფექტურად წარმართვის მიზნით.

უკანასკნელ წლებში მწვავე რესპირატორული ინფექციით ხშირად მოავადე პირთათვის ფიზიოპროფილაქტიკის მიზნით ფართოდაა რეკომენდებული ბუნებრივი საშუალებები, როგორცაა კლიმატი, სამკურნალო ტალახები, მინერალური წყლები, სწორად წარმართული კვების რაციონი, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინგრედიენტს და მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებით. აღნიშნული სარეაბილიტაციო საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ავადობის სისშირეს.(3)

ამგვარად,

ავადმყოფთა კომპლექსური იმუნორეაბილიტაცია მრავალი კომპონენტისაგან შედგება და ითვალისწინებს უჯრედულ და სუბუჯრედულ დონეზე გამოვლენილი რაოდენობრივი და ფუნქციური იმუნური დარღვევების მიზანდასახულ იმუნოკორექციას როგორც მედიკამენტოზური, ასევე არამედიკამენტოზური საშუალებებით, რაც აღდგენით და მის თანმხლებ პროცესებზე მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს. ის საშუალებას იძლევა შექმნას პირობები დადებითი ზეგავლენის პროლანგირებული მოქმედების მისაღწევად, მის გასამყარებლად და კლინიკო-ლაბორატორიული რემისიის მისაღწევად.

რეკომენდებულია ბავშვთა, მოზრდილთა, ასაკოვანი ადამიანებისა და სპორტსმენთა კვების რაციონში ამინომჟავებით გამდიდრებული სასმელი „ივერიული ფიტო“-ს გამოყენება ენერგიის აღსადგენად, პოლიდეფიციტური მდგომარეობების, ფიზიკური და გონებრივი გადაღლის დროს, ორგანიზმში აღდგენითი პროცესების ეფექტურად წარმართვის მიზნით.

ბავშვთა იმუნური სისტემის მდგომარეობა გოგონათა ქირურგიული პათოლოგიის დროს

მ. ბიორგობიანი

ოპერაციის შემდგომი პერიოდის მიმდინარეობა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის ორგანიზმის რეაქტიულობით. ცნობილია, რომ ოპერაციული ტრავმა ნარკოზი, ისე როგორც ნებისმიერი სტრესული მდგომარეობა, იწვევს გარკვეულ იმუნურ ძვრებს - იმუნოსუპრესიას (3,2).

შესწავლილ იქნა 1-14 წლამდე ასაკის ბავშვები სხვადასხვა ქირურგიული პათოლოგიით, რომელთაც შპს ჟვანიას სახ. პედიატრიულ კლინიკაში გაუკეთდათ ოპერაცია. პათოლოგიის მიხედვით ავადმყოფები განაწილებულ იქნენ შემდეგნაირად: პიდროცელე - 42 ავადმყოფი, ვარიკოცელე - 2, კრიპტორქიზმი - 68 ავადმყოფი, სხვადასხვა ლოკალიზაციის თაქრები - 84 ავადმყოფი.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ოპერაციული ტრავმის, ანესთეზიის ზემოქმედება იმუნურ სისტემაზე.

იმუნური სისტემის შესწავლა ხდებოდა დინამიკაში, ოპერაციამდე, ოპერაციის შემდეგ, ოპერაციიდან მე-6-7 დღეს. შესწავლილ იქნა იმუნური სისტემის როგორც უჯრედული, ისე ჰუმორული რგოლი. უჯრედული რგოლის შესწავლის მიზნით ვიკვლევდით T - ლიმფოციტების, T_H - ჰელპერებსა და TS - სუპრესორებს, B - ლიმფოციტებს, ვსაზღვრავთ ძირითადი კლასის იმუნოგლობულინებს A, M, G.

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა გამოხატული იმუნოდეპრესიული მდგომარეობა ოპერაციის წინა პერიოდში. ლეიკოციტებისა და ლიმფოციტების რაოდენობის სარწმუნო ცვლილებების გარეშე აღინიშნება T და B ლიმფოციტების სარწმუნო კლება, აგრეთვე იმუნომარეგულირებელი უჯრედების შეფარდების დარღვევა და იმუნოგლობულინების სინთეზის დათრგუნვა.

ოპერაციის წინა პერიოდში, გამოკვლევის I ეტაპზე აღინიშნა იმუნომარეგულირებელი ინდექსის ზრდა 2,4-მდე, T_H - ჰელპერების შემცირება 36,7 და TS - სუპრესორების 15%-მდე. B - ლიმფოციტების რაოდენობა უმნიშვნელოდაა შემცირებული. ყურადღებას იპყრობს G კლასის იმუნოგლობულინების შემცირება (8,2 გ/ლ); IgA - 1,9 გ/ლ; IgM - 1,1 გ/ლ.

გამოკვლევის მეორე ეტაპზე, ადრეულ პოსტოპერაციულ პერიოდში აღინიშნება იმუნური მანევრების მკვეთრი ცვლილებები (ტენდენციით შემცირებისადმი), რაც განპირობებულია ანესთეზიის იმუნოსუპრესიული ეფექტით, კერძოდ, ფტოროტანის მოქმედებით, კვლევის აღნიშნულ ეტაპზე (II) იმუნური მანევრებლები შეადგენდა: T - ლიმფოციტები - 38%, M_H - 34%, TS - 13%, იმუნორეგულატორული ინდექსი - 2,7.

იმუნოგლობულინების სინთეზის მკვეთრი შემცირება IgG - 8,2 გ/ლ; IgA - 1,4 გ/ლ; IgM - 1,1 გ/ლ. გამოკვლევის მესამე ეტაპზე, ოპერაციის შემდგომი პერიოდი მე-6-7 დღე, იმუნური სისტემის მანევრებლები ცვლილებების გარეშე და შეესაბამება გამოკვლევის მეორე ეტაპის მანევრებებს.

ამრიგად, იმუნური სისტემის მანევრებლების შესწავლამ ზოგიერთი ქირურგიული პათოლოგიის დროს გვიჩვენა ე.წ. ფონური იმუნოპრესია, იმუნური მანევრებლის კლება ოპერაციის წინა პერიოდში, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის სოციალური, ეკოლოგიური და ა.შ.

ოპერაციის შემდგომ პერიოდში გამოხატულია პოსტნარკოზული იმუნოდეპრესიული ეფექტი, რაც განპირობებულია ოპერაციის ანესთეტიკის ზემოქმედებით.

ნარკოზის შემდგომი იმუნოსუპრესია არ არის ხანმოკლე, გრძელდება ოპერაციის შემდგომ პერიოდში მე-6-7 დღემდე.

შესწავლილ ჯგუფში პოსტოპერაციულ პერიოდში აღინიშნებოდა ძირითადად ინფექციური ხასიათის გართულებები, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს იმუნური სისტემის ცვლილებებით, კერძოდ, იმუნოსუპრესიით. აღნიშნული გართულებების სისშირე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია იმუნოსუპრესიის ხარისხთან.

ამრიგად, აუცილებელია იმუნური სისტემის მდგომარეობის გათვალისწინება ოპერაციის წინა პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში რაციონალური იმუნოკორექცია, წინასაოპერაციო მომზადების მიზნით. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს შეუწყობს პოსტოპერაციული გართულებების შემცირებას. პოსტნარკოზული იმუნოსუპრესიის პროფილაქტიკის მიზნით; საჭიროა შერჩეულ იქნეს ანესთეტიკი, მინიმალური იმუნოსუპრესიული ეფექტით.

ლიტერატურა

1. ა. როუნტი, დ. ბროსტოფი, დ. მეინი. იმუნოლოგია. 2006 წ.
2. მ. გოირგობიანი, ნარკოზის შემდგომის იმუნოსუპრესია ბავშვებში, დისერტაცია მედ. მეც. დოქ. 1996 წ.
3. Aenesthesia and immuniti system Salo 2000 Giorgobiani M. Immunological aspects of some surgucal pathology in children. Summary Immunological system in pre-post-operation periods in children from 1 to 14 years was studied. Clear immunosupression effect was observed in pre-post-operation period (B, T lumphocytes, Tr, Tc, IgM, IgG0. In Postoperation period the immunosupression effect was more expressed. Post-oreation complications were directly proportional to the post-operation immunosupression. This necessa- its immunocorruption in pre-operation period as well as a choice of proper metod of aenesthesia.

CLINICAL AND DIAGNOSTICAL ASPECTS OF THE METABOLIC DISORDERS OF NERVOUS SYSTEM IN EARLY-AGED CHILDREN

TEA PULARIANI, ALEXI MINDADZE

Department of children neurology, Zvania Pediatric clinic, Tbilisi

Abstract

Metabolic disease of the nervous system vary considerably in their clinical and pathologic aspects. These genetic defects may present in infancy, childhood, or more rarely, in adults and have specific expressions. 31 patients of age from 3 months to 6 years have been investigated. The patients were chosen by the method of selective screening. In 15 patients various genetic syndromes were stated. 21 patients were subjected to neurosonographic investigation, results were divided into 3 groups. In 13 cases revealed the various brain disontogenesis.

Key words: hereditary enzymopathies, neurogenetic, brain disontogenesis, amino acids

Introduction

Metabolic diseases of the nervous system vary considerably in their clinical and pathologic aspects, all are due to single gene defects that result in deficient enzymes or proteins and, consequently, characteristic biochemical abnormalities.

Over the last 30 years, the number of disorders to which an enzymatic lesion has been assigned has increased dramatically, so that presently there are more than 100 neurologic and neuromuscular diseases caused by known enzymatic or protein defects almost all of which have been mapped to a specific chromosome region.

For practical purposes, metabolic disorders are divided into the following 11 groups:

- Disorders of aminiacid metabolism
- Disorders of aminoacid transport
- Disorders of carbohydrate metabolism
- Organic acidurias
- Lysosomal storage diseases
- Disorders of lipid metabolism
- Paroxysmal disorders
- Familial myoclonus epilepsias
- Lipidoses of unknown origin
- Disorders of metal metabolism
- Disorders of Purine and pyrimidine metabolism

Neurologic presentation of these disorders are not uncommon and it may be ease to overlook the underlying cause of the neurologic syndrome.

It is noted that with age polymorphic clinical picture with prevailing neurologic disorders becomes more evident. It should be considered that proper and timely diagnose makes it possible to conduct pathogenic treatment and get positive therapeutic effect in number of cases and, what is more important, provide proper medicogenetic consultation. It is necessary to separate every case of metabolic diseases from a large group of pathologies, characterized with mental retardation - Epilepsy, Hypoxic-Ischemic Encephalopathy, Cerebral Palsy.

Material and Methods

Biochemical study is the most significant among the metabolic investigations - that is determination of pathological metabolites in biological liquids, with proper diet and specific load. Routine screening of urine detect all of the common disorders of amino acid and carbohydrate metabolism. The following procedures were used: Ferried chloride test, dinitrophenylhydrazine (DNPH) test, nitroprussidecyanide test, acid albuminum test, diazotized P-nitroaniline test, and two-dimension paper chromatography for urinary amino acids. Examination of the urinal organic acids is also indicated whenever a metabolic defect is suspected. We used also spectrofluorometric estimation of blood amino acid levels.

31 patients of age from 3 months to 6 years have been investigated. The patients were chosen by the method of selective screening based upon 5 - the most typical clinical signs:

1. Psychomotor retardation with unknown genesis and epileptic syndrome.
2. Strange smell especially in acute period of disease.
3. Periodical episodes of vomiting, metabolic acidosis and consciousness with unknown etiology.
4. Hepatomegalia.
5. Nephrolitiasis

All the patients were selected on the base of the neurologic clinic. Some of them had preliminary diagnose of the cerebral pulsy, epilepsy, cerebral perinatal injury. Some of the children hadn't preliminary conclusion and were marked by the different degrees of the mental retardation, motorial deficiency, epileptical syndrome. All the patients were examined in detail. The mental development and phsychomotoric status was valued by the Denver scale.

We used also electroencephalographic examination and neurosonographic research. Investigation was conducted by "Aloka AAP 1400" and "SIEMENS SONOLINE ELEGRA" ultrasonic apparatus equipped with 3-5 MHz sector and 5-9 MHz linear transmitter. 50 patients were subjected to neurosonographic investigation. All patients were subjected to EEG investigation by routine 16-chnaled EEG.

RESULTS

In 16 patients genetic pathology was not revealed. In other 15 patients various genetic syndromes were stated: 6 patients had ammo acid dismetabolism. In 2 patients simple carbohydrate dismetabolism, expressed in lactose incompatibility and galactozemia was noted. In 7 patient Methilmalonic aminoaciduria (organicaciduria) -was observed.

Amino acid disorders spectrum was as follows: Phenylketonuria - 1 cases, Prolynemia - 2 cases, Homocystinuria - 3 cases.

In 5 patients one of these disorders was diagnosed after the first examination, in 10 patients - after the second examination. It must be noted, that family diseases

were also observed. In both cases siblings were of opposite sex, what proves autosomal-recessive heredity.

Clinical analysis has revealed, that some cases of defects of Amino Acids and Organic Acid Metabolism are extremely serious and progrediental mostly in cases of delayed diagnose (8 cases – children of elder age without treatment before). It is apparent, that sometimes the disease is very grave from early age.

The distribution of the main neurological syndromes is given in the Fig 1.

21 patients were subjected to neurosonographic investigation, results were divided into 3 groups. Group 1 (8 cases) – neurosonographic date did not indicate any significant pathology and mainly was revealed in immune dilatation of ventricular system and slight nonhomogeneity of choroidal plexus system. Group 2 (7 patients) – neurosonographic date were of nonspecific character and pointed to chiefly perinatally conditioned pathologies (periventricular haemorrhage I and II stage, nodulus ependymitis, subcortical ganglions and cerebellum calcinations; noncalcinate vasculopathy, attended by microcysts in the head of nucleus caudatus). Group 3 (6 patients) – research revealed varieties of brain disontogenesis: structure abnormalities of hypocamp convolutions and nucleus caudatus; anomaly of Reil’s island round; septochiasmic displasia; agenesis of corpus callosus; Dandy-Walker Syndrome; hemimegacephalia was observed.

Treatment of metabolic disease of the nervous system can be attempt on two levels: modification of the phenotypic expression of the defective gene, and definitive treatment by correcting the gene defect. Curently only the first approach has been used in clinical practise. So we used the phenulketonuria. The initial step was a low-phenylalanine diet and then adequate regulation of diet. These are performed twice weekly during the first 6 months of life, and twice monthly thereafter.

In cases of Methylmalonic Aciduria patients were treated with intramuscular hydroxocobalamin (1mg every three weeks) supplemented with L-carnitine (250 mg/kg/day).

In cases of Homocystinuria we used treatment with pyridoxine (500-1-mg/day) for several weeks. We also used the course of pyridoxine with foliate.

In 8 patients we got the possitive therapeutic effect by the patogenic treatment – such is reversal or amelioration of symptoms.

The best outcome was observed in the early-age group.

AGE	Mental retardation	Seizures	Spasticity	Ataxia
3 months- 1 year (14 cases)	13	7	5	-
1 year- 2 years (8 cases)	8	5	7	1
2-6 years (9 cases)	9	4	1	3

FIG.1 The distribution of the main neurological syndromes

References

- 1 Bruce O ; Berg. “principle of child neurology”
- 2 John M, Menkes”Textbook of child neurology” 2005
- 3 Rosenblatt D.S, AsplerA.L.”Clinical heterogeneity and prognosis in combined disorders” Journal of Inherited Met Dis” 1997
- 4 Thomas E “Dietary menegement in inborn errors” Journal of Child neurology, 1992

reziume
nervuli sistemis metabolur daavadebaTa klinikuri da diagnostikuri aspeqtebi adreul bavSvTa asakSi
Tea fulariani, aleqsi mindaZe
Jvancias saxelobis pediatriuli klinika
2007-2009 wlebSi Catarda kvleva klinikis pacientebisa (sul 31 SemTxveva), romlebis SerCeul iyvnen seleqtiuri skrinings klinikuri kriteriumebis mixedviT. pacientTa asaki meryeobda 3 Tvidan 6 wlamde. Bspecifiuri bioqim-iuri kvlevis garda pacientebis utardebodaT neurovizualuri da electroencefalografiuli kvleva. Ggamovlinda genetikuri enzimopaTiis 15 SemTxveva. Ppacientebis CautardaT specifiuri mkurnaloba. 8 SemTxvevaSi miRebuli iqna dadebiTi Terapiuli efeqti.

სისტოფიბროზის აქტუალური პრობლემები

ბ.ზენაიშვილი, ნ.ბაღრიანაშვილი, მ.წულაია, თ. აბულაძე, მ.ჩიქოვანი
გ.ჯვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა

ცისტოფიბროზი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ფატალური მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც დრამატული მიმდინარეობისა და მიიმე გამოსავლის გამო სოციალურ მნიშვნელობას პრობლემად იძენს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დაავადების პროგნოზს ნაადრევი დიაგნოზი და მიზანმიმართული მეურნალობა განსაზღვრავს. ამერიკისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებში ცის-

ტოფიბროზით დაავადებულთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 35-40 წელს აღწევს.ბევრი მათგანი სრულიად დააპტირებულია და სოციალურად აქტიური.

დაავადება პირველად აღწერა1936 წელს ამერიკელმა პათოლოგანატომმა ანდერსენმა, რომელმაც გამოაქვეყნა მონოგრაფია “კუჭუკანა ჯირკვლის ცისტოფიბროზი და მისი ულთიერთკავშირი ცელიაკიასთან.

ცისტოფიბროზი აუტოსომურ-რეცესიული დაავადებაა, რომელიც განპირობებულია ცისტოფიბროზის ტრანსმემბრანული მარეგულირებელი გე-

ნის მუტაციით. იგი ხასიათდება მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანოებისა და სისტემების ევზოკრინული ჯირკვლების დაზიანებით, მიმდინარეობს მიძიმედ და აქვს სერიოზული პროგნოზი.

ყოველწლიურად მთელს მსოფლიოში იბადება 70000 ცისტოფიბროზით დაავადებული ბავშვი. აქედან 30000 მხოლოდ ამერიკის შერთებულ შტატებზე მოდის. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში სისშირე მერყეობს 1:3500 1:3200 შემთხვევა საქართველოში კი პროფ.ს.კვაჭაძის მონაცემებით 1:4400.

დღეისათვის ცისტოფიბროზის 1500 მდე გენის მუტაციაა აღწერილი, რომელიც მოთავსებულია მეშვიდე ქრომოსომის გრძელი მხრის შუა მესამედში, შეიცავს 27 ეკზონს 250.000 წყვილ ნუკლეოტიდს. დაავადება გადაეცემა აუტოსომურ-რეცესიული ტიპით, როდესაც ორივე მშობელი არის ცისტოფიბროზის გენის პეტეროზიგოტული მტარებელი.ყოველი ახალი ორსულობის დროს ცისტოფიბროზის დაავადებული ბავშვის დაბადების ალბათობა შეადგენს 25 % ს.

ცისტოფიბროზის პათოგენეზს საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ასპექტი:

ევზოკრინული ჯირკვლების დაზიანება.

ელექტროლიტური ცვლის დარღვევა

შემავრთებელი ქსოვილის დაზიანება.

ყველა კლინიკური გამოვლინება დაკავშირებულია ევზოკრინული ჯირკვლების მიერ ზედმეტად წებოვანი სეკრეტის გამოშვებასთან, რის გამოც სეკრეტის(ლორწოს) ევაკუაცია ძნელდება, ხდება გამომტანი სადინარების დაცობა, რაც ხელს უწყობს მეორადი ცვლილებების განვითარებას. აღნიშნული ყველაზე თვალსაჩინოდ გამოხატულია ბრონქოპულმონალური სისტემასა და კუჭნაწლავის ტრაქტში.

კლინიკური სურათი ვლინდება ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული პროცესის, ნაწლავური სინდრომისა და ფიზიკური განვითარების შეფერხებით. ასაკის მატებასთან ერთად პანკრეასის გარეგანი ფუნქციის უკმარისობის ნიშნები სასუნთქი სისტემის დაზიანების სიმპტომები იზრდება. დაავადების პროგრესი დამოკიდებულია სასუნთქ სისტემაში პროცესის განმეორებითი გამწვავებებზე, მორეციდივე ბრონქიტისა და რეკურენტული პნევმონიის სახით.

ყველაზე ადრეული და მიძიმე გამოვლინება ცისტოფიბროზის არის მეკონიალური ილეუსი,რომლის მიზეზი პანკრეასული აქილია და წერილი ნაწლავის ჯირკვლების დისფუნქციაა.

მეკონიალური ილეუსი ლიტერატურული მონაცემებით გვხვდება 10-15 %ში და ითვლება დაავადების უმიძიმეს ფორმად.

ცისტოფიბროზის კლინიკური მანიფესტაცია ხასიათდება პოლიმორფიზმით, იგი დაკავშირებულია ასაკთან, სხვადასხვა ორგანოთა სისტემების დაზიანებასთან, დაავადების ხანდაზმულობასთან ჩატარებული თერაპიული ღონისძიებების მასშტაბებთან და დაავადების გართულებებთან.

დაავადება საწყის ეტაპზე შეიძლება გამოვლიდეს მხოლოდ რესპირაციული სინდრომით:

ქრონიკული პროდუქციული ხველა;

ქვემოსასუნთქი გზების ბაქტერიული კოლონიზაცია;

ენდობრონქიალური ინფექცია;

ჰიპოქსემია;

ბრონქოექტაზია;

პნევმოთორაქსი;

ჰემოპტიზი;

ნაზალური პოლიპი

ქრონიკული პანსინუსიტი

პულმონალური ჰიპერტენზია/გულის უკმარისობა

ნაწლავული სინდრომი ვლინდება :

მეკონიალური ილეუსი;

მალაბსორბციის სინდრომი(ცილებისა და ცხიმების შეწოვის დარღვევა);

ახალშობილებში გახანგრძლივებული ობსტრუქციული სიფიითლე;

რექტალური პროლაფსი;

ფოკალური ბილიარული ციროზი;

ქოლელითიაზი;

სხვა სისტემების მხრივ:

შაქრიანი დიაბეტი;

ჰიპონატრემიული დეჰიდრატაცია;

ჰიპოქლორემიული ალკალოზი;

მამაკაცთა სტერილობა;

ცისტოფიბროზის დიაგნოზი ემყარება კლინიკო რენტგენოლოგიური ნიშნებისშერწყმას. მოწოდებულია ცისტოფიბროზის არა ინვაზიური ტესტი- ე.წ ოფლის ტესტი, რომელიც ოქროს სტანდარტია ცისტოფიბროზის სადიაგნოსტიკოდ. დიაგნოზის დასაბუთება ხდება სამჯერადი დადებითი ოფლის სინჯის საფუძველზე.ექლორიდების შემცველობა ოფლში 60მმოლ/ლ-ზე მეტი ადასტურებს ცისტოფიბროზის დიაგნოზს.

ოფლის ტესტის ცრუ დადებითი რეაქცია შეიძლება იყოს მაშინ როცა გვაქვს:

ლაბორატორიული შეცდომა;

თირკმელზედა ჯირკვლის უკმარისობა;

ნერვული ანორექსია;

თირკმლისმიერი უშაქრო დიაბეტი;

ექტოდერმალური დისპლაზია;

ფუკოზილოზი;

ოფლში ქლორის მაჩვენებლის ინერპრეტაცია

	ნორმალური (მექვ/ლ)	საეჭვო (მექვ/ლ)	ცისტოფიბროზი (მექვ/ლ)
ჩვილები 2თვემდე	<30	30-60	>60
ბავშვები	<40	40-60	>60

ოჯახური ქოლესტაზი;
ჰიპოპარათირეოზი;
გლოკოგენოზის I ტიპი;
მუკოპოლისაქარიდოზი;
მალნუტრიცია;

ცრუ უარყოფითი რაექცია შეიძლება იყოს მაშინ როცა გვაქვს:

პერიფერიული შეშუპება;
ცისტოფიბროზის იშვიათი მუტაცია;
ლაბორატორიული შეცდომა;

არსებობს ცისტოფიბროზის სკრინინგ დიაგნოსტიკის რამდენიმე მეთოდი:

სისხლში იმურეაქტიული ტრიჰსინის განსაზღვრა ძალიან ინფორმატიული მეთოდია, რომლის სპეციფიურობა და სენსიტიურობა მაღალია.

დღეისათვის მრავალ ქვეყანაში წარმატებით ხდება ანტენატალური დიაგნოსტიკადა გენის ჰეტეროზიგოტული მტარებლობის გამოვლინება, რომელიც დაფუძნებულია ცისტოფიბროზის გენური მუტაციის გამოვლინებაზე. ამ გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დამყარდეს კონტროლი დაავადების გავრცელებაზე, განხორციელდეს დაავადების პრევენცია და პროგნოზირება.

ცისტოფიბროზის მკურნალობა მეტად რთული, ხანგრძლივი და საკმაოდ ძვირადღირებულია. ამასთანავე მრავალმხრივი პათოგენეზური მექანიზმი და მძიმე კლინიკური მიმდინარეობა მოითხოვს მაღალკვალიფიციური დახმარების აღმოჩენის აუცილებლობას, სტაციონარულ და ამბულატორიულ პირობებში, პრევენციული ღონისძიებებისა და სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით.

კლინიკის პირობებში (სასურველია იზოლაციის დაცვით) ტარდება სამკურნალო-რეაბილიტაციური რეჟიმის კორექცია. იგი მოიცავს ანთროპომეტრიას, გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლების განსაზღვრას, სისხლის, შარდის, განავლის საერთო ანალიზს, ნახველის ბაქტერიოლოგიურ, სისხლის იმუნოლოგიურ და ბიოქიმიურ გამოკვლევას, გულმკერდის ორგანოების რენტგენოლოგიურ და შინაგანი ორგანოების ულტრაბგერას. ნახველის მიკროფლორის შესწავლისას ვლინდება ოქროსფერი სტაფილოკოკი, მისი ასოციაცია ჰემოფილურ და ლურჯ-ჩირქად მიკრობებთან.

ცისტოფიბროზის მკურნალობის ძირითადი რგოლებია: ბრონქული ხის სანაცია წებოვანი სექტრეტისგან, სასუნთქი სისტემის ინფექციასთან ბრძოლა, კარგი ნუტრიციული სტატუსის შენარჩუნება, ფსიქოემოციური ადაპტაცია. ბრონქული ხის წებოვანი სექტრეტისგან სანაციისათვის გამოიყენება ინჰალაციური თერაპია. ამ მიზნით გამოიყენება აცეტილცისტეინი(აცც), ასევე ცისტოფიბროზის საზოგადოების მიერ მოწოდებულია NaCl-ის ჰიპერტონული ხსნარით ნებულაიზეროთერაპია, რომლის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა გამწვავებების განვითარების რისკი.

მკვლევარებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზრდის ნახველის წებოვნებას არის დნმ. მასზე ზემოქმედების მიზნით შეიქმნა ახალი მუკოლიზური საშუალება დნმ-აზა. დნმ-აზა (პულმოზიმი) მიღებულია გენური ინჟინერით. ადამიანის რეკომბინაციული დნმ-აზა არის ადამიანის ნორმალური ენზიმის ბიოინჟინერული ასლი. კვლევებით დადგინდა რომ პულმოზიმის გამოყენებით სწრაფად იცვლება ნახველის წებოვნება, მუკოცილიარულ კლირენს, აუმჯობესებს სუნთქვის მექანიზმს, რაზეც მიუთითებს ნახველის წებოვნების შემცირება, რომელიც კორელაციაშია გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლებთან. პულმოზიმის საინჰალაციო გზით მიღების აუცილებელი პირობაა ნებულაიზერული სისტემების გამოყენება, რომელიც ახდენენ პრეპარატის საკმარის დოსირსას. მისი გამოყენება შეიძლება ხანგრძლივად.

ცისტოფიბროზის პროგნოზის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი რაციონალურმა ანტიბიოტიკოთერაპიამ, განსაკუთრებით ისეთი ანტიბიოტიკების გამოყენებამ, რომლებიც მოქმედებენ ფსევდომონაზე. სისტემატური და ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპია ამცირებს სასუნთქ სისტემაში ანთებითი პროცესის გამწვავებას და ჰოსპიტალიზაციის სისშირეს აუმჯობესებს ფილტვის ფუნქციურ მაჩვენებლებსა

დაავადების პროგნოზს. ანტიბიოტიკების შერჩევა ხდება ეტაპობრივი პრინციპით. ინფექციური პროცესის გამომწვევი მიკრობის სახეობის გათვალისწინებით.

ცისტოფიბროზის დიაგნოსტიკური ინტერპრეტაცია

დეფინიცია	კომენტარი
ოფლში ქლორის განსაზღვრა	ოქროს სტანდარტი
ცისტოფიბროზის გენეტიკური ანალიზი	უარყოფითი პასუხი არ გამორიცხავს დიაგნოზს
დამატებითი გამოკვლევებიდან	კომენტარი
პანკრეასის ეგზოკრინული ფუნქციის შეფასება	განავალში ელასტაზა, კუჭუკანა ჯირკვლის ულტრასონოგრაფია
ბაქტერიოლოგია	ნახველისა და ბრონქული ლავაჟის
რადიოლოგია	ულმკერდის რენტგენოგრაფია ან კტ კვლევა
ფილტვის ფუნქციური ტესტები	სპირომეტრია

ანტიბიოტიკების შეყვანის ყველაზე რაციონალური გზაა ინტრავენური გამოყენება მაღალი დოზებით. პენიცილინისა და ცეფალოსპორინების ჯგუფის პრეპარატები ინიშნება ინტრავენურად წვეთოვნად, ამინოგლიკოზიდსები-ინტრავენურად ან წვეთოვნად. ასევე მოწოდებულია ანტიბიოტიკების ინჰალაციური გზით გამოყენება. ამ გზით ყველაზე ეფექტურად გამოიყენება ისეთი ანტიბიოტიკი როგორცაა ტობრამიცინი, რომელიც განსაკუთრებით მაღალი მგრძობელობით გამოირჩევა ფსევდომონას მიმართ.

ბოლო დროს ფართო გამოყენება ჰპოვა დღის სტაციონარების შემოღებამ, სპეციალური სამსახურების შექმნამ ბინაზე ვენაში ანტიბაქტერიული პრეპარატების შეყვანის მიზნით, რითაც მცირდება ნოზოკომიური მიკრობებით დაინფიცირების საფრთხე.

ვეროპისა და აშშ ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს ქინოლინების ჯგუფის პრეპარატების (ციპროფლოქსაცილინი, ლევოფლოქსაცინი) გამოყენების დადებით შედეგებზე.

პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენება ანტიბიოტიკები, რომლის ხანგრძლივობა 2 კვირაა, კლინიკური არასტაბილურობისას 3 და მეტი.

ცისტოფიბროზით დაავადებულთა მკურნალობაში აუცილებელია მაღალ დოზებში პანკრეასის ფერმენტების გამოყენება მთელი სისიცოცხლის მანძილზე. პანკრეასული ფუნქციის დარღვევის კორექცია შესაძლებელია პანკრეატიტისა და კომბინირებული პრეპარატების გამოყენებით. ფერმენტ კრეონის გამოყენება ცისტოფიბროზით დაავადებულთა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დაავადების პროგნოზს.

უკანასკნელ წლებში ცისტოფიბროზის მკურნალობაში სიხლეა კორტიკოსტეროიდები, რომელთა დადებითი მოქმედება განისაზღვრება ანტიანთებად, უჯრედის მემბრანის გამტარებლობის შემცირებაში და შემაერთებელი ქსოვილის განვითარების დათრგუნვაში. სტეროიდები ამცირებენ ბრონქებში ანთებითი ცვლილებების ინტენსივობას, ამით ადადგენენ ბრონქების გამტარებლობას, აუმჯობესებენ ბრონქ-ფილტვის მდგომარეობას, განსაკუთრებით კი გახანგრძლივებული პროცესების პროგნოზს. პრედნიზოლონი ინიშნება პეროს სადღეღამისო დოზა ეძლევა დღეგამოშვებით დილით ერთხელ არაუმეტეს 1-1.5მგ/კგ. მკურნალობის ხანგრძლივობა 1.5-2 თვეა. პრედნიზოლონის ფონზე აუცილებელია ანიბიოტიკების გამოყენება ასევე რეკომენდირებულია ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატების ჩართვა (იბუპროფენი 2-3მგ/კგ დღეში 2 ჯერ).

ზოგჯერ საჭირო ხდება ენტერალური კვებაც, რომლის ფონზე შემთხვევაში აღინიშნება სხეულის მასის სწრაფი ზრდა, უკანასკნელ წლებში ცისტოფიბროზის პრობლემის შესწავლაში წარმატებებმა მკურნალობის ახალი ასპექტები წარმოაჩინა, რომელთაგან აღსანიშნავია ცისტოფიბროზის გენის კორექცია გენური ინჟინერიის მეტოდით, გულისა და ფილტვების ან მხოლოდ

ფილტვების გადაანერგვა, ღვიძლის გადაანერგვა და სხვა პერსპექტიული მიმართულებანი.

დაავადების პროგნოზის გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ცისტოფიბროზის დიაგნოსტიკის, მათ შორის პერინატალური დიაგნოსტიკის დანერგვასთან. ჰეტეროზიგოტული გენის მტარებელ მშობლებში შესაძლებელი გახდა წინასწარ განისაზღვროს ავადმყოფი ბავშვის დაბადების რისკის ხარისხი.

დღეისათვის მკურნალობის ტაქტიკა ითვალისწინებს პანკრეასის თანამედროვე ფერმენტების, ფარტო სპექტრის ანტიბიოტიკების; მუკოლიზური საშუალებების, სტეროიდების, მრავალმხრივი სიმპტომური პრეპარატების და არამედიკამენტოზური მეთოდების გამოყენებას.

SUMMARY

CF is a commonly diagnosed genetic disease caused by disruption of cellular chloride transport through abnormal function of the CFTR gene protein.

CF may affect multiple organ systems severely, leading to chronic sinopulmonary infections, impairment of growth, liver disease, and diabetes.

Positive CF NBS identifies children at risk for the diagnosis of CF and always requires additional confirmatory testing with sweat chloride or genetic testing.

Primary therapies in CF focus on methods to promote airway clearance of mucus, suppression of bacterial growth, and optimization of nutritional status.

The prognosis for individuals born with CF continues to improve markedly over time through coordinated use of early and aggressive therapies toward common complications.

ბამოქენიზული ლიტრატურა

Collins MS, Abbott MA, Wakefield DB, et al. Improved pulmonary and growth outcomes in cystic fibrosis by newborn screening.

Pediatr Pulmonol. 2008;43:648 655

Cystic Fibrosis Foundation website at: www.cff.org. Accessed May 2009

Cystic Fibrosis Mutation Database. Available at: www.genet.sickkids.on.ca/cftr/. Accessed May 2009

Farrell PM, Rosenstein BJ, White TB, et al. Guidelines for diagnosis of cystic fibrosis in newborns through older adults: Cystic Fibrosis Foundation consensus report. *J Pediatr.* 2008;153:S4 S14

Flume PA, O Sullivan BP, Robinson KA, et al. Cystic fibrosis pulmonary guidelines: chronic medications for maintenance of lung health. *Am J Resp Crit Care Med.* 2007;176:957 969

nelson textbook of pediatrics

ნ. ბადრიაშვილი ცისტოფიბროზის აქტუალური პრობლემები ბავშვებში

ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი ბავშვთა ასაკში

გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ნეფროლოგიური განყოფილება
ბ.ზენაიშვილი, მ.ცანავა, თ.აბულაძე, დ.კვიციანი, ბ.ჩიტაია

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი(ჰუსი) პირველად აღწერა შვეიცარიელმა მეცნიერმა, ჰემატოლოგმა კორნარდ ფონ გასერმა 1955 წელს. ადრე ამ დაავადებას გასერის სინდრომს ეძახდნენ, ხოლო თანამედროვე ლიტერატურაში იგი ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის სახელწოდებით გვხვდება.

ტერმინი ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი წარმოადგენს დაავადებების ჰეტეროგენულ ჯგუფს, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ეტიოლოგია და კლინიკური თუ სუბკლინიკური გამოვლინება. კლასიკურად ახასიათებს კლინიკური ტრიადა: მიკროანგიოპათიური ჰემოლიზური ანემია, თრომბოციტოპენია, თირკმლის მწვავე უკმარისობა. თირკმლისმიერი ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს როგორც მინიმალური შარდის სინდრომით(ჰემატურია, პროტეინურია), ასევე ოლიგო-ანურიით და არტერიული ჰიპერტენზიით, რომლის დროსაც აუცილებელია თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია (დიალიზი).

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი ყველაზე ხშირი მიზეზია თირკმლის მწვავე

უკმარისობის განვითარებისა პედიატრიულ პოპულაციაში. ყველაზე ხშირად გვხვდება 7 თვიდან 6 წლამდე ასაკში, გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის პერიოდში, რადგან მისი უხშირესი გამომწვევია E.coli.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის ძირითადად 2 ფორმა არსებობს:

დიარეა (+) ანუ კლასიკური ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი, რომელიც შემთხვევათა 90%-ში გვხვდება

დიარეა(-) ანუ ატიპიური ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი, რომელიც შემთხვევათა 10%-ში გვხვდება.

დიარეა (+) ანუ ტიპიური კლასიკური ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი ყველაზე ხშირი ფორმაა ბ/ასაკში. იგი შემთხვევათა 90% ში გვხვდება. ვითარდება ჰემორაგიული კოლიტის გადატანის შემდეგ. უმრავლეს შემთხვევაში განვითარებად ქვეყნებში კლასიკური ჰუსის გამომწვევია ენტეროჰემორაგიული E.coli, Shigella dysenteriae ს გარკვეული შტამები, რომლებიც აპროდუცირებენ შიგატოქსინს. შიგატოქსინს აპროციდურებს E.colis 0157:H7 ასევე სხვა შტამები 026, 0111, 0103. შიგატოქსინები იყოფა თავისი ბიოლოგიური და სტრუქტურული მახასიათებლის მიხედვით 2 ტიპად: შიგატოქსინ 1 და შიგატოქსინ 2. ჰუსის ძირითად

მოწოდებულია ჰემოლიზურ ურემიული სინდრომის შემდეგი კლასიფიკაცია:

I. ჰუსის ტიპი	ეტიოლოგია
ტიპური პოსტდიარეული ჰუსი	E.coli 0157:H7, Shigella dysenteriae
II. ატიპიური ჰუსი	
1.საშარდე გზების ინფექციასთან ასოცირებული	E.coli,
2.პოსტინფექციური	Streptococcus pneumoniae
3. ოჯახური (აუტოსომურ დომინანტური რეცესიული)	კომპლემენტის რეგულაციის გენეტიკური დეფექტი ფაქტორ H და I
	Abnormal regulation of coagulation ADAMTS-13
4. მედიკამენტთან ასოცირებული	ციკლოსპორინი, მიტომიცინი, ტაკროლიმუსი
5.სისტემურ დაავადებებთან ასოცირებული	სისტემური წითელი მგლურა, ლეიკემია, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია

თადი გამოძვევითა შიგატოქსინ 2 მაპროდუცირებული შტამი.

კლინიკური მანიფესტაცია კლასიკური ანუ დიარეა(+) ჰუსის დროს მრავალფეროვანია. მას პროდრომულ პერიოდში ახლავს მუცლის ტკივილი, ღებინება და დიარეა. დიარეა და მასთან ასოცირებული გასტროინტესტინალური ჩივილები მსგავსია წყლულოვანი კოლიტისა და აპენდიციტის, რაც ხშირ შემთხვევაში არასწორი დიაგნოზისა და შესაბამისად არასწორი მკურნალობის მიზეზი ხდება. ჩვეულებრივ, დიარეის გამოვლენიდან 5-10 დღის შემდეგ მანიფესტირდება ჰუსი. მას აქვს უეცარი დასაწყისი, რომელიც ვლინდება შემდეგი კლინიკური ნიშნებით: ჰემოლიზური ანემია ფრაგმენტირებული ერითროციტებით(შისტოციტები), თრომბოციტოპენიით და თირკმლის მწვავე უკმარისობით.

დაავადების საწყის ფაზაში ყველა კლასიკური კლინიკური ნიშნები შეიძლება არ იყოს გამოხატული, რაც აძნელებს დიაგნოსტიკას.

სხვა ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების მხრივ დაავადების მიმდინარეობაში ერთეობა:

ცენტრალური ნერვული სისტემა(- კომა, კრუნჩხვა, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ჰემიპარეზი, კორტიკალური სიბრმავე, რომელიც შემთხვევათა 20%-ში გვხვდება რაც ხშირ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი ხდება).

საჭმლის მომნელებელი სისტემის მხრივ(- ჰემორაგიული კოლიტი, მსხვილი ნაწლავის ნეკროზი და პერფორაცია, პერიტონიტი, პანკრეატიტი შემთხვევათა 10%-ში).

სისხლის მხრივ- ანემიისა და თრომბოციტოპენიის გარდა აღინიშნება ლეიკოციტოზი, რაც პროგნოზულად ცუდი გამოსავლით ხასიათდება, რადგანაც ლეიკოციტოზის შემთხვევაში იზრდება სისხლძარღვის სანათურში პროტეოლიზური ფერმენტების მიგრაცია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისხლძრღვთა ენდოთელის დესტრუქციის ხარისხს.

დიარეა(-) ანუ ატიპური ჰუსი შემთხვევათა 10% ში გვხვდება. იგი შედარებით იშვიათია ბავშვთა ასაკში. მას არ ახასიათებს პროდრომულ პერიოდში დიარეა და სხვა გასტროინტესტინალური ჩივილები.

იგი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა მიკრობული თუ ვირუსული აგენტებით, მედიკამენტთან ასოცირებული, ოჯახური (უტოსომურ დომინანტური ან აუტოსომურ რეცესიული, რომელსაც საფუძვლად უდევს კომპლემენტის სისტემის რეგულაციის დარღვევა).

ჰემოლიზურ- ურემიული სინდრომის დიაგნოსტიკა ხდება კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე.

სისხლში აღინიშნება: ანემია, ფრანგმეტირებული ერითროციტებით(შისტოციტებით), რეტიკულოციტოზი, ნეიტროფილოზი, კუმბსის ტესტი(-), ჰაპტოგლობინის დაბალი დონე.

ბიოქიმიური მონაცემებიდან ანაღსანიშნავია: შარდოვანასა და კრეატინინის მაღალი დონე, ელექტროლიტებისა და მეტაბოლური ცვლილებების დაზარალება, ჰიპერბილირუბინემია, ლაქტატდეჰიდროგენაზას მაღალი მაჩვენებელი(ჰემოლიზის დასადასტურებლად)

შარდის მხრივ: პროტეინურია, ჰემატურია, ცილინდრურია(გრანულარული, პიგმენტური, ჰიალინური),

სხვა დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევებიდან:

განაგლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი, რომლის სპეციფიურობა და სენსიტიურობა არ არის 100% იანი, სეროლოგიური და ინფექციის PCR დიაგნოსტიკა, C3 კომპლემენტის და H ფაქტორისა განსაზღვრა ჰუსის გენეტიკური ფორმების დროს.

თირკმლის ბიოფსიით- ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის ჰისტომორფოლოგიური სუბსტრატი თრომბოზული მიკროანგიოპათიაა, მეზანგიუმის ჰიპერცელულარობა, ტუბულარული და კორტიკალური ნეკროზი.

დიფერენციალური დიაგნოზის გატარება ძალიან რთულია ისეთ დაავადებასთან როგორცაა თრომბოზული თრომბოციტოპენიური პურპურა (ე.წ მაშკოვიცის დაავადება), რადგან ეს დაავადებები ძალიან ჰგავს კლინიკური გამოვლინებებით ერთმანეთს.

ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის სპეციფიური მკურნალობა არ არსებობს. მოწოდებულია სიმპტომური მკურნალობა, რომელიც გულისხმობს ანემიის წყალ-

დიფერენცირებისატვის მოწოდებულია შემდეგი ცხრილი

	თრომბოზული თრომბოციტოპენიური პურპურა	ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი
ასაკი	>40	ბავშვები
სქესი	მდედრობითი	ორივე სქესში
ეპიდემია	არ ახასიათებს	ახასიათებს
რეციდივი	ხშირი	იშვიათი
E.Coli(როგორც ეტიოლოგიური ფაქტორი)	არა	ღიას
თირკმლის უკმარისობა	იშვიათად	ხშირად
ცნს-ის დაზიანება	ხშირად	იშვიათად
თრომბოციტოპენია	მძიმე	საშუალოდ გამოსატული
სხვა ორგანოების ჩართვა	ერთვება მრავალი ორგანო	ძირითად თირკმელი

მარილოვანი ცვლის კორექციას, ჩანაცვლებით თერაპიასა და არტერიული წნევის კონტროლს. ჰემოლიზურ ურემიული სინდრომის დროს ანტიბიოტიკოთერაპია არ არის რეკომენდებული, ვინაიდან ანტიბიოტიკების გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს ჰემოლიზის პროცესს და ამძიმებს დაავადების მიმდინარეობას.

-ჰუსის დროს ბავშვებს ვითარდება მძიმე ანემია, რომლის დროსას ნაჩვენებია ჰემოტრანსფუზია. ერთროციტალური მასის ინფუზია ნაჩვენებია, როდესაც ჰემოგლობინის დონე <ნგ/დლ ან ჰემატოკრიტი <18 % ზე ნაკლებს, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი გართულებები როგორცაა სუნთქვისა და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა. რაც შეეხება თრომბოციტალური მასის გადასხმას რუტინულად მისი გამოყენება არ არის რეკომენდებული, მისი გამოყენება ნაჩვენებია როცა აქტიური სისხლდენაა ან ქირურგიული ჩარევის წინ.

ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი მოითხოვს არტერიული წნევის მკაცრ კონტროლს. ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტებიდან გამოიყენება კალციუმის არხის ბლოკერები როგორცაა ამლოდიპინი ან ნიფედინი, ასევე აგფ ინჰიბიტორები,

რომლებიც გამოირჩევა ანტიპროტეინული და ნეფროპროტექტორული ეფექტურობით, მაგრამ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული იმ პაციენტებში, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ გლომერული ფილტრაცია და ჰიპერკალემია.

თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს როცა გვაქვს ოლიგო-ანურიული სტადიის ხანგრძლივობით ჰიპერკალემიის, ჰიპერვოლემიის გათვალისწინებით, ნაჩვენებია თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია, კერძოდ პერიტონეული ან ჰემოდიალიზი.

- მეტაბოლური აციდოზის დროს ნაჩვენებია სოდის ინფუზია. პლაზმაფერეზისა და კრიოპლაზმის ინფუზია ნაჩვენებია მხოლოდ ატიპიური ჰუსის შემთხვევაში, როდესაც პროდრომულ პერიოდში არ არის დიარეა და არის ოჯახური შემთხვევა. უკანასკნელი მონაცემებით ატიპიური ჰუსის გენეტიკური ფორმების დროს წარმატებით გამოიყენება კომლემენტის ინჰიბიტორი - ეკულიზუმაბი.

კლასიკური ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი დაახლოებით 90%ში კეთილსამედო გამოსავლით მთავრდება. 5-10%ში სიკვდილიანობა, რომლის მიზეზია ექსტ-

რარეული გართულებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროცესში ერთვება ცენტრალური ნერვული სისტემა. ქრონიკული ჰიპერტონია, პროტეინურია და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა პაციენტთა 25-30%-ში ვლინდება. პაციენტებს, რომლებმაც გადაიტანეს ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი ესაჭიროებათ ხანგრძლივი მეთვალყურეობა პედიატრ ნეფროლოგთან ყოველი ვიზიტის დროს, გაზომილ უნდა იქნეს არტერიული წნევა და უნდა მოხდეს თირკმლის ფუნქციის ლაბორატორიული შეფასება. აღწერილია შემთხვევები თანამედროვე ლიტერატურული მონაცემებით, როცა ტერმინალური თირკმლის უკმარისობა განვითარებულა 25 წლის შემდეგაც ჰუსის გადატანიდან. (დაახლოებით 10-15%-ში). იმ შემთხვევაში თუ გამოჯანმრთელების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში არ აღენიშნება პაციენტს პროტეინურია, არტერიული ჰიპერტონია და თირკმლის გლომერული ფილტრაციის დაქვეითება, გვიანი გართულებები თირკმლის ტერმინალური უკმარისობის სახით არ ვითარდება და ასეთ პაციენტები პედიატრ ნეფროლოგის მეთვალყურეობას საჭიროებენ 5 წლის განმავლობაში.

თირკმლის ტერმინალური უკმარისობის შემთხვევაში ნაჩვენებია თირკმლის ტრანსპლანტაცია, რომლის ეფექტურობა ატიპიური ჰემოლიზური ურემიული სინდრომის გენეტიკური ფორმების დროს არ არის წარმატებული.

ჰემოლიზურ ურემიული სინდრომის პრევენცია გულისხმობს პირადი ჰიგიენის დაცვას, ხორცეული კერძების სათანადო დამუშევას. არ შეიძლება უმი ხორცის გასისინჯვა, ხმარება, ასევე არა-პასტერიზირებული რძის პროდუქტების გამოყენება.

ამგვარად, ჰემოლიზურ ურემიული სინდრომი არც ისე იშვიათი დაავადებაა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ამასთანავე გ. შუანიას პედიატრიული კლინიკის ნეფროლოგიურ განყოფილებაში გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდში, უკანასკნელი რამდენიმე დაახლოებით

5-10 შემთხვევამდე დიაგნოსტირდება ჰუსი, რაც ვფიქრობთ სწორი და დროული დიაგნოსტიკით არის განპირობებული.

სამწუხაროდ საქართველოს მასშტაბით არ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები, რადგან ეპიდემიოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა.

გამომდინარე დაავადების სირთულის და ზოგიერთ შემთხვევაში ცუდი პროგნოზისა, ერთის მხრივ პრაქტიკოსი ექიმი-პედიატრი ინფორმირებული უნდა იყოს ამ დაავადების ეტიოლოგიისა და მიმდინარეობის შესახებ, მეორეს მხრივ გაგრძელდეს მეცნიერული კვლევა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა.

CONCLUDING REMARKS

HUS is a clinical syndrome characterized by the triad of microangiopathic hemolytic anemia, thrombocytopenia, and renal injury. Although there are many distinct causes of HUS in children, up to 90% of cases are related to GI infection (D+HUS) with Shiga toxin-producing *E. coli* or *Shigella*. Supportive care is essential to good outcome, and the course and outcome is related to the underlying cause. With D+ HUS, mortality is now <5% but a large number of survivors exhibit signs of proteinuria, hypertension, or renal insufficiency and deserve continued follow-up. Children with D-HUS are a more heterogeneous group; management strategies are not well defined and outcome is less favorable in this group.

Improved public health prevention strategies remain the best option to decrease the frequency of D+HUS in children. For children with established STEC colitis, passive immunity to Stx toxins or administration of Stx receptor analogues offer an opportunity to minimize disease severity. Unfortunately such efforts remain to be proven to be effective in affected children and all such efforts are limited by the ability to detect STEC colitis early enough to be able to intervene. HUS continues to be a challenge in terms of prevention; even for severely affected children, appropriate supportive management of acute renal insufficiency and non-renal complications can provide a good outcome.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- Hochberg Z. (Editor) Practical algorithm in pediatric nephrology 2008;
- G. Cameron, Textbook of nephrology. 2005
- Nelson Textbook of Pediatrics, 18 th ed 2007
- ELLIS D. AVNER pediatric nephrology sixth edition 2009
- Brenner and Rector's the kidney 8 th edition 2007
- Denis F. Geary and Franz Schaefer Comprehensive Pediatric Nephrology 2008
- Uptodate 2009.

ხელოვნების ბაზარი საქართველოში

ანა თოფურიძე, ნინო გოზალიფიძე, ლაშა ივანაშვილი, მარიამ ღუღუნიანი, ზურაბ ღუღუნიანი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელოვნების ბაზარი სამი სახის ბაზრად იყოფა: I ბაზარი, სადაც მოღვაწეობენ არაორგანიზებული ხელოვნები, რომლებსაც თავი-

ანთი ნამუშევრები გალერეებში და გამოფენებზე გამოაქვთ. ისინი მოქმედებენ ლოკალურად. ასევე მათში შედიან მცირე ვაჭრები და კერძო მყიდველები.

II ბაზარი, სადაც იყიდება დამკვიდრებული მხატვრების ნამუშევრები, რომლებიც გამოიფინება მნიშვნელოვან ქალაქებში.

III ბაზარი არის ინტერნაციონალური ბაზარი (ძალიან) ცნობილი ხელოვნების ნიმუშებით. ამ ბაზარზე მოღვაწეობენ ასევე აღიარებული სააუქციონო სახელები.

ხელოვნების ბაზრის თავისებურებები:

ხელოვნების ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ფაქტორებია: ფასი, ხარისხი, ესთეტიკა, შემოსავალი და ფინანსური ბაზრის დამახასიათებელი ნიშნები.

მიწოდებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების ფაქტორებია კი არის: ფასები, პროდუქციის ღირებულება, სიდიდე და ხელოვნების სახეობა. მიწოდება მოკლევადიან პერიოდში არაელასტიურია, ინფორმაცია კი სიმეტრიული.

ბაზარი მხოლოდ ცოტა ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი, ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდულად (განსაკუთრებით მესამე ბაზარზე)

ქცევა ხელოვნების ბაზარზე:

ხელოვნების ბაზარზე ბევრი კერძო კოლექციონერი . ისინი რენტაბელობაზე არ არიან ორიენტირებულნი. მათ ქცევაში გამოიკვეთება მომარაგების ეფექტი, ოპორტუნი- სტული ღირებულების ეფექტი, დაცემული ღირებულების მხედველობაში მიღება და მემკვიდრეობის ასპექტები.

ამ ბაზარს მიეკუთვნებიან ფირმები, როგორც კოლექციონერები, რომელთა მიზანიც არაა მოგების მიღება. სინი ხელოვნების ნიმუშებს ი ენენ მოხმარების მიზნით

საზოგადოებრივი მუზეუმები კი არიან ხელოვნების ნიმუშების მნიშვნელოვანი მყიდველები. მათ შეუძლიათ ხელოვნების ნიმუშები არ გაყიდონ. ისინი სამინისტროსგან იღებენ ფულს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მუზეუმები იხდიან მაღალ ფასებს და ამით გამყიდველებს აძლევენ შესაძლებლობას ჰქონდეთ მაღალი რენტაბელობა.

არის თუ არა ხელოვნებაში ინვესტიცია რენტაბელური?

ეს კითხვა აწუხებდა მაიკლ მოხეს და ამიტომ დაიწყო არტ-ბაზარზე გაყიდვების ინდექსის დადგენა. მან მრავალი წელი იმუშავი და შედეგად მიიღო ის ერთადერთი ინდექსი, რომელსაც, დღეს მსოფლიოს წამყვანი გალერეები იყენებენ.

ამ კვლევების თანახმად, აშკარად ჩანს ურყევი ტენდენცია-ბოლო 50 წლის მანძილზე. მეი-მოხესის ინდექსის ზრდა 12,6%-ია, S&P-ის-11,7-ი.

დღეს, მხატვრის ნამუშევარი უფრო მომგებიანი რომ გახდეს, მსოფლიო არტ-ბაზრის ტენდენციებისა და ინფრასტრუქტურის კარგი ცოდნაა საჭირო. უპირველეს ყოვლისა, მხატვარი “საჭირო” გალერეებში უნდა გამოიფინოს, რასაც ხშირად Sotheby’s ან Christie’s აუქციონერების დაინტერესება მოჰყვება.

ფინანსური კრიზისის ზემოქმედება ხელოვნების ბაზარზე

ფინანსურმა კრიზისმა, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა ხელოვნების ბაზარზე.

Christie’s და Sotheby’s აუქციონების, გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა ერთი მესამედით იკლო, ბევრი ნამუშევარი არ გაიყიდა. თვით Andy Warhold-ის ნამუშევარმაც ვერ გამოასწორა გამეფებული განწყობა. ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა ხელოვნების ბაზარი და წინა წლების ბუმი გააჩერა.

ყველაფრის მიუხედავად ფასები სტაბილურია, რადგან აუქციონების ხელმძღვანელები თვლიან, რომ კოლექციონერები ფასების დაწვეას ელიან.

Christie’s და Sotheby’s ბოლო აუქციონების შემოსავალმა, მოსალოდნელი თანხის ნახევარიც კი არ შეადგინა, მაგრამ მათი ხელმძღვანელები იმედს არ კარგავენ, ზოგიერთი მათგანი ძალზე ოპტიმისტურად უყურებს მომავალს და თვლის, რომ ეს კრიზისი, ერთი მხრივ სასარგებლოა, რათა ღვარძლი და იფქლი, ანუ მაღალი და დაბალი დონის ნამუშევრები ერთმანეთისგან გაიმიჯნოს.

ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა ერთ-ერთი სერიოზული ბიზნესია და ბოლო ხანს საქართველოშიც იკიდებს ფეხს. ხელოვნების ნიმუშებში ფულის დაბანდება, ანუ ინვესტიცია ყოველთვის ხელსაყრელია, და თუნდაც ფასების ზრდა დროებით შეჩერდეს, ანდა სულაც დაიწიოს, კოლექციონერი წაგებულ არასდროს იქნება. მიზეზი მარტივია - შედეგები მუდამ უფრო ცოტაა, ვიდრე მათი შექენის მსურველები. ამიტომაც ხელოვნების ნიმუშებს ხშირად ყიდულობენ ბანკები, ცნობილი ბიზნესმენები, ხოლო ადლოიანი დილერები ამ საქმით სერიოზულ მოგებას ნახულობენ. მართალია ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში არტ-ბაზარი ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია, მაგრამ ხელოვნების ნიმუშებში ფულის დაბანდება მაინც ღირს. დღეს შექენილ ნამუშევარს, 5-10 წლის შემდეგ ბევრად მეტად გაყიდო.

უცხოურ არტ-საიტებზე შეგიძლიათ, ნებისმიერი

ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მხატვრის რეიტინგი ნახოთ.ეს ინფორმაცია ყველასათვის ღიაა და ხელმისაწვდომი. ამ საიტებზე იმ ქართველ მხატვრებსაც შეხვდებით, რომელთა ნამუშევრებიც უცხოეთში ინახება. უცხოურ ინტერნეტსაიტებზე თითოეულ მხატვარზე მითითებულია ინდექსი და წლების მიხედვითაა შეტანილი ფასები. ასე რომ, კოლექციონერს შეუძლია, თვალი მიადევნოს, როგორია ფასების ზრდის კოეფიციენტი, ანუ მისი საინვესტიციო მასალა სწორად შეისწავლოს. ეს საკმაოდ აზარტული პროცესია და როგორც ნებისმიერ ბიზნესში, ცოდნასთან ერთად ხშირად საქმე გამართლებაზეც ჰკიდია.

პირველი სააუქციონო სახლი საქართველოში 2008 წელს დაარსდა, მის ეკონომიკურ წინსვლას ხელი შეუშალა ეკონომიკურმა კრიზისმა, ასევე ადრე მიღებულმა კანონებმა რომელთა ხელახალი განხილვის და განახლების აუცილებლობა უკვე არსებობს, ამის მიუხედავად ის განაგრძობს ფუნქციონირებას და ძალებს იკრებს. მთელ მსოფლიოში თითოეულ აუქციონს აქვს საკუთარი ინდექსების

კატალოგი, რადგან ხელოვნების ნიმუშებზე ფასების განვითარების ერთადერთი რეალური და უტყუარი სტატისტიკური მაჩვენებელი აუქციონების კატალოგებია, ჯერ-ჯერობით ჩვენთან არ არის კატალოგი შექმნილი, მაგრამ მომავლისთვის იგეგმება.

ამგვარად:

აუცილებელია მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ხელოვნების ბაზრის განვითარებას;

შეიქმნას თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა;

უნდა მოხდეს სააუქციონო სახლისა და გალერეების კოორდინირებული მოქმედება;

შეიქმნას კატალოგი, რაც გამოავლენს მხატვართა რეიტინგს;

დამყარდეს უფრო მჭიდრო კონტაქტები საერთაშორისო აუქციონებთან;

გამოყენებულ იქნას ყველა ხერხი და ღონისძიება ქართული ხელოვნების ნიმუშების პოპულარიზაციისათვის, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტი

ლაშა დალაძეშვილი

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია ფუნქციის განსაზღვრა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ჩვენი მომავლისთვის ეს არსებითია... თუ საქართველო ვერ უპასუხებს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და ვერ იქნება კონკურენტული საერთაშორისო სივრცეში, ის ჩაითვლება „მომკვლევებულ“ ქვეყნად და საუბარიც კი ზედმეტი იქნება რაიმე პოლიტიკურ როლზე მსოფლიოს მასშტაბით. საჭიროა, ერმა გაიაზროს თუ რისი კეთება შეუძლია ყველაზე კარგად, რა არის მისი ფუნქცია. ამისათვის აუცილებელია, სწორად დაინახოს პრიორიტეტები.

ისტორიულად საქართველომ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია XII-XIII საუკუნეებში. მისი ფუძემდებელი იყო დავით აღმაშენებელი. მაშინ საქართველო მოექცა უდიდესი სავაჭრო არტერიის “დიდი აბრეშუმის გზის” საკვანძო ადგილას. მაშინდელი ევროპის მტერი მუსულმანური სამყარო ჩვენი ქვეყნისთვის, პრველ რიგში, სავაჭრო პარტნიორი იყო. თბილისში ყველაზე დაბალ გადასახადს მუსულმანი იხდიდა 3 დინარის ოდენობით, ქართველისათვის ეს გადასახადი - 5 დინარს შეადგენდა... იმ პერიოდის საქართველომ იკისრა ეკონომიკური ხიდის ფუნქცია დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის. თბილისი გახდა უდიდესი სავაჭრო ცენტრი. მაშინ, როდესაც ევროპაში 5000-იანი დასახლება დიდ ქალაქად ითვლებოდა, თბილისში 100000 კაცზე მეტი ცხოვრობდა...

დავით აღმაშენებელმა დაინახა, ქვეყნის როლი და სწორედ ამ მიმართულებით განავითარა საქართველო. საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება და აბრეშუმის გზამ საქართველოს გვერდი აუარა. ზღვაოსნობის განვითარებამ და დაძაბულმა ურთიერთობამ ოსმალეთთან აბრეშუმის გზის ერთი განშტოება სამხრეთით გადაიტანა ხოლო მეორე ინდოეთის და ატლანტის ოკეანეებში. საქართველო ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა ეკონომიკური თვალსაზრისით. კონომიკური ფუნქციის მოშლას მოჰყვა სამხედრო და პოლიტიკური კუთხით დასუსტებაც...

მას შემდეგ საქართველო ცდილობს იპოვოს თავისი ადგილი...

საბჭოთა მიმართველობის დასრულების შემდგომ ჩვენი პოლიტიკოსები ცდილობენ, რომ ქვეყანა თანამედროვე აბრეშუმის გზის შემადგენელი ნაწილი გახდეს, თუმცა სატრანზიტო მაგისტრალები საქართველოს სამხრეთით ირანის და ერაყის ტერიტორიებზე გადის. ბევრი პოლიტიკოსი დიდ მიღწევად მიიჩნევს ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ და გაზსადენებს და მართლაც ამ პროექტებით ქვეყანას აღუდგა სატრანზიტო ფუნქცია, თუმცა არა იმ სიდიდით, რომ ამან ქვეყანას საგრძნობი ეკონომიკური განვითარება მოუტანოს. უფრო დიდი მნიშვნელობისაა “ნაბუქოს” პროექტი, რომლის მიზანია შუა აზიური ნავთობი და გაზი შევიდეს ევროპაში კასპიის ზღვის, აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით. ეს პროექტი უმნიშვნელოვანესია ევროპისთვის, რადგან იგი ელექტროენერჯიას უმეტესად გაზით აწარმოებს და საჭირო

ბუნებრივი აირის დაახლოებით 20% დეფიციტურია მისთვის. ამ დანაკლისს დღემდე რუსული გაზი ავსებს, რომელიც მეტად მძიმე ტვირთია ევროპისთვის. ნაბუქოს პროექტი ის ალტერნატივაა, რამაც ევროპა რუსული პოლიტიკური ზეგავლენისგან უნდა იხსნას. საქართველო ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა და ამიტომ მისი მნიშვნელობა ევროპისთვის ერთიორად გაიზრდება.

მაგრამ რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის? ჩვენი ქვეყანა ხდება უმნიშვნელოვანესი რესურსის გამტარი, რომლის დანიშნულება ელექტროენერჯის წარმოებაა. ამ პროექტის განხორციელებით მიღებული გადასახადი ბევრს შემატებს ქვეყანას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნავთობის და გაზის მარაგები ამოწურვადია და უახლოეს 50 წელიწადში სრულად გამოილევა. საქართველო მეორედ დაკარგავს თავის ფუნქციას, რასაც სატრანზიტო ხიდი ჰქვია. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, არ შევიქმნათ ცრუ ილუზიები და არ გავაკეთოთ აქცენტი მხოლოდ ერთ მიმართულებაზე. მონეტას ორი მხარე აქვს - ნათქვამია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე ევროპას გაზი და ნავთობი ესაჭიროება ელექტროენერჯის საწარმოებლად. ეი არსებობს ევროპის მუდმივად მზარდი ეკონომიკის ძალზე დიდი მოთხოვნა ელ.ენერჯიაზე. შესაბამისად არსებობს ელექტროენერჯის დიდი ბაზარი. საქართველოს აქვს პოტენციური უბრალოდ გამტარიდან იქცეს ენერჯო-ექსპორტიორად ჰიდროენერჯის ხარჯზე. ამჟამად ათვისებულია პოტენციალის 8-10%-მდე. 14%-ით ათვისება აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნას. დარჩენილი 86% შეიძლება გატანილ იქნას ექსპორტზე. ამ პოტენციალის ათვისების შემთხვევაში ბაზარი გარანტირებულია. ახლახან დაიწყო მაღალი გამტარობის ხაზის მშენებლობა თურქეთისკენ. ეს ფაქტი არის პირდაპირი ნაბიჯი მომავალი ბაზრისკენ.

საქართველოში ჰიდროენერჯის ათვისების სტატისტიკა შემდეგნაირია: უმსხვილესი ობიექტია ენგურ ჰესი, რომელიც წელიწადში დაახლოებით 5,46 მლრდ კვტ/სთ ენერჯიას გამოიმუშავებს. საქართველოს წლიური ენერჯო მოხმარება არის 8,55 მლრდ კვტ/სთ. საქართველოში არსებული ყველა ჰესის ჯამური ენერჯია წელიწადში დაახლოებით 9,491 მლრდ კვტ/სთ.-ა. ერთი შეხედვით საქართველოს უნდა ეყოს ეს ენერჯია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მდინარეების ჩამონადენი ზამთარში ძალიან მცირეა და ენერჯიის უდიდესი ნაწილი გაზაფხულის და ზაფხულის სეზონებში გვაქვს. ამ დროს აღინიშნება სიჭარბე. ზამთარში კი დეფიციტია. ვერ კმაყოფილდება ქვეყნის მოთხოვნა. ამ პრობლემის გადაჭრაა მასშტაბური კაშხლის მქონე დიდი წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა.

საქართველოს მთავრობას 2005 წლის თებერვალში გამოეყო მსოფლიო ბანკის 5 მილიონი

დოლარის დახმარება, რომელიც უნდა მოხმარებოდა ხუდონჰესის პროექტის განახლება-დამუშავებას. აღნიშნული პროექტი სავარაუდოდ 500 მილიონი დოლარი დაჯდება და ჰესი წელიწადში გამოიმუშავებს 1,7 მლრდ კილოვატსაათ ენერჯიას. აგრეთვე იგეგმება ტობარი ჰესის მშენებლობა, რომელიც 2,2 მლრდ კვტ/სთ ენერჯიას გამოიმუშავებს. ჯამში ეს ორი პროექტი დაახლოებით 1,2 მლრდ დოლარი ჯდება. ამ ჰესებით სავარაუდოდ გადაიჭრება სეზონურობის პრობლემა და საქართველო ზამთარში აღარ იქნება დამოკიდებული მეზობელი ქვეყნის გაზზე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა, რომ არა დაახლოებით 2 მლრდ კვტ/სთ ენერჯია, რომელსაც აფხაზური მხარე ენგურიდან იღებს. ამ პროექტების განხორციელების შემთხვევაში საქართველოში წარმოებული ენერჯია ჰიდროენერჯის მიხედვით იქნება 13,391 მლრდ კვტ/სთ წელიწადში. ზამთარში დეფიციტი აღმოიფხვრება, ხოლო ზაფხულში ექსპორტის წილი დიდად გაიზრდება. საგულისხმოა, რომ ისეთი დიდი ჰესები როგორცაა ენგური, როგორებიც იქნება ხუდონი და ტობარი, სავარაუდოდ სახელმწიფოს ხელში იქნება (სტრატეგიული მნიშვნელობის გამო), ხოლო საშუალო და მცირე ჰესების უდიდესი ნაწილი დღესაც არის და მომავალშიც იქნება კერძო საკუთრებაში.

ძალზე სარფიანია მცირე ჰესების ინვესტირება. მცირე ჰესს აქვს სიმძლავრე 1-დან - 10-მდე მეგავატის საზღვრებში. მისი მშენებლობის ხარჯები შემდეგნაირია: 1კვტ ჯდება დაახლოებით 1000-2500 დოლარი. ეი 10 მეგავატის სიმძლავრის ჰესი ელირება დაახლოებით 10-25 მილიონი აშშ დოლარი. მცირე ჰესებით საქართველოში შეიძლება მოვიპოვოთ დაახლოებით 19 მლრდ კვტ/სთ ენერჯია! ეს არის უდიდესი ათვისებელი რესურსი. ამ სფეროში ჩადებული ინვესტიცია რამდენიმე წელში მოიტანს სტაბილურ მოგებას, ვინაიდან ბაზარზე მოთხოვნა გარანტირებულია. მცირე ჰესებით ენერჯო რესურსის დაახლოებით 80%-ით ათვისებას სჭირდება დაახლოებით 19 მილიარდი დოლარი. ვფიქრობთ, ტენდენცია მცირე და საშუალო ჰესების კერძო საკუთრებაში არსებობისა კიდევ გაგრძელდება და ამ სფეროს სულ მალე ათივსებენ ქართველი და უცხოელი ინვესტორები.

აღნიშნული პროექტების განხორციელების დღეებითი ეფექტია უამრავი სამუშაო ადგილი, რომელიც შეიქმნება იმ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის, რომლებმაც ააშენეს ენგურე-ჰესი და განახორციელეს სხვა დიდი პროექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ საშენი მასალების უდიდესი ნაწილი საქართველოში მოიპოვება და ასათვისებელი მილიარდების დიდი ნაწილი საქართველოშივე დარჩება. ქვეყნის მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე სრულად დაკმაყოფილდება ადგილობრივი რესურსებით, მეტიც, ქვეყანა იქცევა სერიოზულ ენერჯოექსპორტიორად. გაიზრდება ენერჯოუსაფრ-

თხოვების დონე, რაც პირდაპირ გაზრდის ინვესტიციებს. შედარებით გვიანი ეფექტი იქნება ენერჯის ტარიფების დაცემა, რაც გამოიწვევს საერთო დანახარჯების შემცირებას და საერთო მოთხოვნის ზრდას ელექტროენერჯიაზე. მოხდება საერთო ხარჯების მკვეთრი შემცირება და საერთო შემოსავლების ზრდა, რაც აუცილებლად გაზრდის ქვეყანაში კეთილდღეობის დონეს. საქართველო გახდება ენერგეტიკულად დამოუკიდებელი და ხელიდან გამოაცდის ჩრდილოელ მეზობელს უდიდეს ბერკეტს. ევროპისთვის იქნება არა “მესამე სამყაროს ქვეყანა” არამედ თანასწორი პარტნიორი. საქართველო დაიბრუნებს თავის ისტორიულ როლს.

როს ქვეყანა” არამედ თანასწორი პარტნიორი. საქართველო დაიბრუნებს თავის ისტორიულ როლს.

წყაროები:

”საქართველოს ეკონომიკა” – გურამ ყუფუნია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემები
კონფერენცია „ენერგოეფექტიანობის და განახლებადი ენერჯის პოტენციალი - რეკომენდაციები ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისათვის” - თბილისი 2009 წელი

ანგენაგალური ჯანმრთელობის იმუნოლოგიური ასპექტები არასამეთავრობო ორგანიზმის „ანგენაგალური ჯანმრთელობა“

ქ. რუხაია, ი. ჯიქია, ი.პოტიმელი

ქალის ორგანიზმში მიმდინარე იმუნურ პროცესებს მნიშვნელოვანი როლი უკავია საშიშროებაში კვერცხუჯრედის იმპლანტაციასა და ორსულობის პროდონგირებაში. ცნობილია რომ ორსულობისას მრავლობითი პათოლოგიური პროცესების განვითარებას როგორებიც გახლავთ: დაუდგენელი ეთიოლოგიის თვითნებითი აბორტი, ჩვეულებრივი აბორტები, ანემბრიონია, ნაყოფის საშიშროების შიდა ზღის შეფერხება, გესტოზი, ნაყოფის ინტრანატალური სიკვდილი (ორსულობის ნებისმიერ ვადაზე), აუტოიმუნური დაავადებები, არტერიული და ვენური თრომბოზი, თრომბოციტოპენია, უშედეგო ხელოვნური განაყოფიერება, ნაადრევი მშობიარობა, საფუძვლად უდევს იმუნური სისტემის სხვადასხვა რგოლებში აღმოცენებული დარღვევები.

ყო, რომ იმუნური პასუხის სუპრესია კი არ არის წამყვანი მექანიზმი იმპლანტაციასა და ორსულობის შენარჩუნებაში, არამედ იმუნური პასუხის მოდიფიკაცია, კერძოდ Th-1 ლიმფოციტებზე დამოკიდებული უჯრედული იმუნიტეტის გარდაქმნა Th-2 ლიმფოციტებზე დამოკიდებულ ჰუმორულ იმუნიტეტში. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ Th-1 ლიმფოციტებიდან გამოყოფილი ციტოკინები როდესაც აღემატება Th-2 ლიმფოციტებიდან გამოქვეყნებულ ინტერლეიკინებს შეუძლებელია კვერცხუჯრედის იმპლანტაცია ხოლო თუ მოხდა ნიდაცია იზრდება თვითნებითი აბორტების სიხშირე და ნაყოფის საშიშროების შიდა ზღის შეფერხება. ასევე მეორადად უჯრედული იმუნიტეტის გააქტიურების მიზეზები შესაძლოა იყოს ინფექციური დაავადებები, აუტოიმუნური პროცესები, ვირუსული ინფექციები (HIV), სისტემური წითელი მგლურა, მიასტენია და ა.შ.

თანამედროვე შეხედულებებით კვერცხუჯრედის მომწიფების ეტაპები ინპლანტაცია, ემბრიონის განვითარება, ციტოკინდამოკიდებული პროცესებია და კონტროლდება იმუნური სისტემის მიერ.

კვერცხუჯრედის ჩანერგვა საშიშროების დეციდუურ გარსში ხორციელდება ტროფობლასტის მეშვეობით კერძოდ სინციტიოტროფობლასტით, ეს უჯრედები გამოყოფენ მეტალოპროტეაზებს ხოლო დეციდუალური გარსი ინტეგრინებს, უზრუნველყოფენ სპირალურ არტერიების გლუვ კუნთოვან სანათურში ჩაზრდას (რის გამოც სპირალურ არტერიებში წნევა ეცემა პერიფერიული წინააღმდეგობის შემცირების ხარჯზე) შლიან გარშემო მყოფ ქსოვილებს და ექსტრაცელულაულ მატრიქსს, ეს ფერმენტები უზრუნველყოფენ ტროფობლასტის ინვაზიას. ინვაზიის დეფექტის არსებობისას მცირდება პერფუზია კორტილდონებს შიგნით, რასაც თან ახლავს ტერმინალური ბუსუსების არასრულფასოვანი განვითარება, რის გამოც ფერხდება ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების სისხლის მიმოქცევაში გადასვლა, მაგრამ რა სიღრმით მოხდება ჩანერგვა ეს უკვე რეგულირდება ციტოკინებით; LIF (ლეიკემია მაინიპიბირებელი ფაქტორი, IL-6 ჰეპატოციტების ზრდის ფაქტორი, M-CSF და ა.შ. ციტოკინების რეცეპტორების აქტივაცია მათთან ასოცირებული სპეციფიური მოლეკულების, ე.წ. ჯანუს კინაზების თიროზინფოსფორილირებითაა გაშუალე

ციტოკინები პორმონის მსგავსი მოლეკულებია. რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზმის იმუნური სისტემის ფორმირებაში და უჯრედებზე სამი გზით მოქმედებენ. მათ გააჩნიათ აუტოკრინული, პარაკრინული და ენდოკრინული ეფექტი.

ნაყოფი გამოიმუშავებს ლეიკოციტალურ ანტიგენებს (HLA) (დედისეული და მამისეული წარმოშობის) და ეს ანტიგენები ნახევრად ალოგენურია დედისათვის, მაგრამ ნორმაში ნაყოფი არ აღიქმება დედის ორგანიზმისათვის, როგორც ალოგრაფტი და არ ხდება მისი მოშორება. ერთ-ერთი მიზეზი ამ ფენომენის მდგომარეობს შემდგომში: ფეტოპლაცენტალური საზღვარი გახლავთ იმუნოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც ქმნის მექანიკურ ბარიერს და ამცირებს ურთიერთკავშირს ნაყოფის ქსოვილებსა და დედის ლიმფოციტებს შორის, ასევე ახდენს დედის იმუნური პასუხის სუპრესიას.

ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხად-

ბული STAT3 რომელიც ააქტიურებს LIF ამ ორი უჯრედთაშორისი მოლეკულების ურთიერთქმედება არეგულირებს ტროფობლასტის ინვაზიის ხარისხს და მის სიღრმეს.

უშუალოდ ამ პროცესსა და მთელი ორსულობის მიმდინარებაზე პასუხისმგებელია ციტოკინები რომლებიც სინთეზირდებიან უშუალოდ თქლიმფოციტებიდან.

Th ლიმფოციტები, მათ მიერ სინთეზირებული ციტოკინების მიხედვით, იყოფა ორ ტიპად: Th1, Th2, Th3 ტიპის უჯრედები აპროდუცირებენ IL-2-ს IFN-ს და TNF- \bullet -ს, რომლებიც თავის მხრივ აინდუცირებენ სხვადასხვა ციტოკინების წარმოქმნას, ანთებითი რეაქციის განვითარებას და მონაწილეობენ უჯრედ-დამოკიდებული პასუხის განვითარებაში (Mosmann T.R., Coffman R.I., 1989, Romagnani S., 1994, Mosmann T.R., Sad S., 1996). Th2 ტიპის უჯრედები ახორციელებენ IL-4, IL-5, IL-6, IL-10 და IL-13-ს სეკრეციას და პასუხს აგებენ ჰუმორულ იმუნურ სისტემაზე. ამის გარდა, IFN-აინდუცირებს TNF- \bullet -ს და IL-12-ის პროდუქციას მაკროფაგებში, რომლებიც შემდგომში ასტიმულირებენ Th1 და აინჰიბირებენ Th2 უჯრედების პროლიფერაციას. პირიქით, IL-10 პასუხს აგებს Th-1-ის ციტოკინების ინჰიბიციას. მრავალი კვლევებიდან გამომდინარეობს, რომ ციტოკინების ბალანსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასრულებს ორსულობის მიმდინარებაში (Wegmann T.G., et al., 1993)

ფიზიოლოგიური ორსულობის დროს ფეტოპლაცენტური საზღვრის ზედაპირზე დომინირებენ ანტიანთებითი Th-2 ციტოკინები (ჭეგმანნ თ. ეტ ალ., 1993, სცკენაზი შ., ეტ ალ., 2000), ხოლო ციტოტოქსიური თ უჯრედების რაოდენობა შედარებით მცირდება. პერიფერიული თ უჯრედების რაოდენობა რჩება თითქმის უცვლელი (Rukavina D, et al., 1997). დადგინდა, რომ პერიფერიული თ ლიმფოციტები ექსპრესირებენ პროექტერონის რეცეპტორებს, აინჰიბირებენ IL-10-ის და PIBF-ს მაპროდუცირებელ NK უჯრედების აქტივობას) და თ ლიმფოციტების იმუნურ პასუხს TGF- \bullet -ს სეკრეციის მეშვეობით (Mincheva-Nilsson I., et al., 1992. 2001, Saito S., et al., 1999 Zenclussen A.C., et al., 2004), ადგილი აქვს უჯრედების აქტივაციას პერიფერიაზე და საშვილოსნოში (Coulam C.B. et al., 1995). ითვლება, რომ ტროფობლასტების დაზიანება N უჯრედების და T ლიმფოციტების მიერ ხორციელდება ციტოკინების მეშვეობით. პროანთებითი ციტოკინების ზემოქმედებით NK უჯრედები გარდაიქმნიებიან (ლიმფოკინ-აქტივირებული კილელები) უჯრედებად, რომლებიც იწვევენ ტროფობლასტების ლიზისს. გამოვლენილია კორელაცია მცირეკულორე -მსგავსი უჯრედების რაოდენობას და აბორტების სიხშირეს შორის. სპონტანური აბორტების და გართულებული ორსულობის (pre-eclampsia) დროს იზრდება Th-1 და მცირდება Th2 ტიპის ციტოკინების შემცველობა (Marzi et al., 1996, Hill et al., 1995, Makhseel M., et.,) ტროფობლას-

ტების დაზიანება აგრეთვე შეუძლია დეციდუურ მაკროფაგებს. დეციდუალური უჯრედები აპროდუცირებენ ციტოკინებს, რომლებიც შემდგომში იწვევენ დეციდუურ მაკროფაგებში აზოტის ქანგის და პროანთებითი ციტოკინების ჰიპერსეკრეციას (Baines M.G., et al., 1997). მაკროფაგების მიერ წარმოქმნილი NO-sa და TNF- \bullet -ს ტოქსიური რაოდენობები (Haddad E.K., et al., 1997) იწვევენ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის დაზიანებას. დეციდუალური მაკროფაგების მიერ ციტოკინების პროდუქციის მატება წინ უსწრებს ადრეული აბორტების განვითარებას.

ფეტოპლაცენტური კომპლექსის ორგანიზაცია იწყება ტროფობლასტების ინვაზიით დედის დეციდუას ქსოვილში. ამ პროცესს ხელს უწყობს დედის ორგანიზმის იმუნური სისტემა.

Th-2-ის ციტოკინები პროდუცირდება არა მხოლოდ იმუნური უჯრედების, არამედ, აგრეთვე პლაცენტის მიერ. ნაწილობრივად, პლაცენტაში პროდუცირებულ IL-4, IL-6 და IL-10 შეუძლია Th-1-ის ლიმფოციტების Th-2-ად დიფერენციაციის პირდაპირი სტიმულაცია.

ტროფობლასტებში და სხვა იმუნურ უჯრედებში სინთეზირებული Th-1 და Th-2 ციტოკინები მონაწილეობენ დედის ორგანიზმის და თვით ტროფობლასტების ენდოკრინული ფუნქციის რეგულაციაში (Nishino E., et al., 1990, De Moraes Pinto M.I., et al., 1996, Roth I., et al., 1996, Saito S., et al., 1997). Th-2-ის ციტოკინები, IL-4, IL-6, IL-10 და LIF (ლეიკემია მანიჰიბირებელი ფაქტორი) ხელს უწყობენ ტროფობლასტებიდან ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი გამოყოფას. ყვითელ სხეულში ადამიანის ქორიონული გონადოტროპინი გამოყოფა ზრდის ფოლიკულებში პროგესტერონის პროდუქციას.

პროგესტერონი მონაწილეობს ორსულობის პირველ პერიოდში, მაშინ როცა, ორსულობის მეორე და მესამე პერიოდში გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ესტროგენებს, რომლებიც დიდი რაოდენობით წარმოიქმნიებიან პლაცენტის მიერ.

ფიზიოლოგიურ კონცენტრაციებში პროგესტერონი ასტიმულირებს IL-4-ის (Th-2-ის ციტოკინი) სინთეზს, მაშინ როცა ესტერადიოლი ასტიმულირებს TNF- \bullet -ს (Th-1-ის ციტოკინი) პროდუქციას. ორსულობის მეორე ნახევარში პროგესტერონი ფარმაკოლოგიურ დოზებში აინჰიბირებს TNF- \bullet -ს სეკრეციას და ასტიმულირებს IL-10-ის პროდუქციას თ ლიმფოციტების კლონის მიერ, რაც განაპირობებს ჰუმორული იმუნური პასუხის გაძლიერებას (Piccini M.P., et al.,).

მაშასადამე მოხდება თუ არა იმპლანტაცია, რა სიღრმეში ჩაინერგება ტროფობლასტი და შენარჩუნდება თუ არა ორსულობა ეს დამოკიდებულია Th-1 და Th-2 ლიმფოციტებიდან გამოყოფილი ციტოკინების თანაფარდობაზე და ყველაზე ყურადსაღებია ის გარემოება რომ ისინი უზრუნველყოფენ ფეტოპლაცენტარულ სისხლისმიმოქცევას. და ერთმანეთ შორის ბალანსის დარღვევა

თქ-1-დან პროდუცირებული ციტოკინების გამოყოფა იწვევს არა მარტო ინვაზიის პრობლემების განვითარებას არამედ ფეტოპლაცენტალური უკმარისობის ჩამოყალიბებას და ნაყოფის ზრდის შეფერხებას. TH-2 ინდუცირებული Th-1-ზე დამოკიდებული იმუნური პასუხის სუპრესია როგორც ჩანს მნიშვნელოვანია როგორც ორსულობის პრობლემებისთვის ასევე ნაყოფის გადარჩენისათვის.

ამრიგად, ციტოკინები ანთების, ანთების საწინააღმდეგო, იმუნო სუპრესორული და იმუნომასტიმულირებელი აქტივობით განსაზღვრავენ კვრცხუჯრედის მომწიფებას, ინპლანტაციას, ემბრიონისა და ნაყოფის განვითარებას, ორსულობის ფიზიოლოგიურ მიმდინარეობას და ჯანმრთელი ახალშობილის მიღებას.

საკვანძო სიტყვები: ანტენატალური ჯანმრთელობა, ციტოკინები.

ბამოყენებული ლიტერატურა

Mosmann TR, Coffman RI. Two types of mouse T helper cell clone: implication for immune regulation. Immunol Today 1987, 8:223-9

Wegmann TG, Lin H.Guilbert L. Mosmann TL. Bidirectional cytokine interactions in the matern-fetal relationship is successful pregnancy a TH2 phenomenon?. Immunol Today 1993., 14 : 353-8

Romagnani S. Human TH1 and TH2 subsets: do ubt no more. Immunol Today 1991;12:256-60

Q.Rukhaia, I. Jikia, I. Korinteli

ANTENATAL HEALTH AND IMMUNOLOGICAL ASPECTS NGO ANTENATAL HEALTH

Concentrations of the T-helper (Th) 1 cytokines interleukin (IL)-2, tumour necrosis factor (TNF) -, TNF-~~and~~ interferon-, Th2 cytokines IL-4, IL-5, IL-6, IL-10 as well as those of soluble CD30 in sera have been examined during the three trimesters of gestation, at delivery in normal pregnancy. A decrease in the production of IL-2 and interferon-gamma (IFN-gamma) accompanied by an increase in production of IL-4 and IL-10, was observed in normal pregnancy, with the lowest quantities of IL-2 and IFN-gamma and the highest quantities of IL-4 and IL-10 present in the third trimester of pregnancy. Statistically significant increased production of both IL-2 and IFN-gamma and reduced production of IL-10 characterized pathologic pregnancies and distinguished them from normal pregnancies. These preliminary data suggest that a type 2 cytokine profile may be associated with normal human pregnancy, whereas the lack of a dominant type 2 cytokine profile may be indicative of a pathologic pregnancy. Pregnancy is proposed to be a Th2 phenomenon, where Th2 cytokines inhibit Th1 responses to improve foetal survival.

Key words: Antenatal Health, Cytokine

„B” ჰეპატიტის პროფილაქტიკა და კოსტვაქცინალური ბარტულეზები დღენაკლ ახალშობილებში

ავტორები: ნ. ხვთისიაშვილი, თ. კვიციანიძე, ლ. ჯანელიძე, ლ. ხვადაბიანი, მ.მ.პ. ნ. თოფურიძე, მ.მ.პ. ნ. პიტაგა, შმც. ექიმი ნ. ხაჩიშვილი

„B” ჰეპატიტი მსოფლიოში რჩება საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმნიშვნელოვანეს პრობლემად. ყოველწლიურად მსოფლიოში მწვანე ან ქრონიკული B ჰეპატიტის გამო იღუპება ერთმილიონამდე ადამიანი. მისი გავრცელება განსაკუთრებით მაღალია აზიის, აფრიკის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მოზრდილი მოსახლეობის 70-80% B ჰეპატიტზე სეროპოზიტიურია.

საქართველოში სისხლის დონორობაზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა HBsAg მტარებლობის მაღალი მაჩვენებელი (4,4%). ქალებში ეს მაჩვენებელი 1,9%-ია.

HBsAg ქრონიკული მტარებლები ორსულები

ნაყოფზე ვირუსის გადაცემის რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. მწვავე B ჰეპატიტი ორსულებში შედარებით იშვიათობას წარმოადგენს. თუ დედას ორსულობის პირველ ტრიმესტრში დაემართა, ნაყოფის ინფიცირების რისკი მინიმალურია; ორსულობის მეორე ტრიმესტრში ეს მაჩვენებელი 6%-მდე მატულობს, მესამე ტრიმესტრში 67% აღწევს. HBV ნაყოფზე გადაცემის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია, თუ დედა დადებითია როგორც HBsAg, ისე HBeAg-ზე და აღწევს 90%, მაშინ როცა HBsA-ზე დადებით და HBeAg უარყოფით ქალებში ინფიცირებული ნაყოფის დაბადების რისკი მხოლოდ 10-20%-ია.

დედის სისხლში HBeAg-ის არსებობა მიუთითებს ვირუსის აქტიურ გამრავლებაზე და წარმოადგენს ვირუსული დატვირთვის სეროგატულ მარკერს, რომელიც თავის მხრივ B ჰეპატიტის ვირუსის ნაყოფზე გადაცემის რისკის მთავარი დეტერმინანტია.

ვირუსის გადაცემა შეიძლება მოხდეს როგორც ვერტიკალურად – საშვილისნოში, ისე მშობიარობის დროს. საშვილისნოს შიდა გადაცემა შედარებით იშვიათია, საშუალოდ 5% და არ არის ასოცირებული ემბრიოპათიასთან. B ჰეპატიტის გადაცემის პოსტნატალური გზა დედის რძით, სადავო საკითხია. და ბოლომდე არ არის შესწავლილი.

HBsAg მტარებელი ახალშობილების უმრავლესობა ანიქტერულია და მწვავე ჰეპატიტის კლინიკური სიმპტომატიკა არ გააჩნია. ანტიგენემია მათ რჩებათ დიდი ხნის, წლების მანძილზეც კი. HBV ინფექცია დომინანტურ როლს ასრულებს მოზრდილობის ასაკში ჰეპატოციტულარული კარცინომის განვითარებაში.

HBV ინფექციის პროფილაქტიკისათვის B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ტარდება სქემით: 0-1-2-12 თვეზე, ხოლო იმ ბავშვებს, რომლებიც იბადებიან HBsAg მტარებელი, ამ ორსულობის მესამე ტრიმესტრში მწვავე B ჰეპატიტით დაავადებული დედისგან, B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრასთან ერთად პირველ 12 საათში უკეთდებათ B ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი 0,5 მლ-25 ს. ერთ. (პირველი დოზა), მესამე თვეზე – მეორედ, და მე-6 თვეზე – მესამედ. ვაქცინა კეთდება ერთ-ერთ ქვედა კიდურზე, მეორეზე კი იმუნოგლობულინი.

HBV ინფექციის მტარებელი დედებისაგან დაავადებულ ბავშვებში ვაქცინაცია ტარდება არა ჩვეულებრივი სქემით – 0-1-6 თვე, არამედ „ექსტერნული“ სქემით 0-1-2-12 თვე. მისი ეფექტურობა შეადგენს 85%-95%. ვაქცინა შეჰყავთ კუნთში, რადგან კანქვეშ მოხვედრისას მისი აქტიურობა მცირდება.

B03-ის რეკომენდაციის დღენაკლული ბავშვები, მათ შორის მცირე მასის ახალშობილებიც უნდა აიცრას მოწოდებული სქემის მიხედვით. მათი იმუნოდეფიციტური მდგომარეობის გათვალისწინებით. მართალია კვლევებით დადგინდა, რომ 1,5 კგ ნაკლები წონის დღენაკლულებში, რომლებიც აცრილი იყვნენ ჩვეულებრივ კალენდარულ ვადებში, პირველი დოზის შეყვანის შემდეგ შეიმჩნეოდა ვაქცინის დაბალი იმუნოგენობა, მაგრამ საბოლოო რეკომენდაციები დღენაკლული ბავშვების ვაქცინაციისათვის ჯერ არ არის შემუშავებული. ვაქცინაცია ტარდება ჩვეულებრივი დოზებით.

ვაქცინის დოზები და უსაფრთხოების მაჩვენებლები აცრის ჩატარებისას დღენაკლული ბავშვებისათვის ისეთივეა, როგორც დროული ბავშვებისათვის. დღენაკლი ბავშვები, 2 კგ < წონის, დაბადებულნი HBsAg მტარებელი დედისაგან, იცრებიან პირველ 12 საათში დაბადებიდან. ამავდროს უკეთდებათ B ჰეპატიტის ვირუსის საწინა-

აღმდეგო სპეციფიური იმუნოგლობულინი, პარალელურად აცრაც „ექსტერნული“ სქემის მიხედვით.

რუსეთში და დსთ ქვეყნებში გამოყენებული B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინების, იმუნოგლობულინების, დოზების და გართულებების სქემა მოცემულია N1 და N2 ცხრილებში.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს B ჰეპატიტზე ვაქცინირებულ დღენაკლულ ახალშობილთა მდგომარეობის შესწავლა.

შესწავლილი იქნა თსსუ პედიატრიული კლინიკის დღენაკლულ პათოლოგიის განყოფილებაში სეფსისის დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებული ერთ თვემდე ასაკის 78 დღენაკლული ახალშობილი, რომელთაც ჩაუტარდათ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა, ასევე 30 ახალშობილი საკონტროლო ჯგუფიდან, რომლებიც არ იყვნენ ვაქცინირებულნი. მათი ჰოსპიტალიზაცია მოხდა სიცოცხლის პირველივე დღეებში.

ორივე ჯგუფის ავადმყოფები გამოკვლეული იყვნენ თანდაყოლილ ინფექციებზე (პასუხი უარყოფითი), გამოიხატა ჰემოლიზური დაავადება Rh და ჯგუფობრივი კონფლიქტით განპირობებული.

დაკვირვების შედეგად მივიღეთ, რომ სიყვითლე გამოუვლინდათ ვაქცინირებულ ახალშობილებს სიცოცხლის პირველი 3 დღის განმავლობაში და პიკს მიაღწია მე-7-მე-10 დღეზე. თვითღინებით შემოსულებში ჰიპერბილირუბინემია რჩებოდა 2-3 კვირის ასაკშიც, მაღალ ციფრებზე >200 ან ტოლია მლმოლ/ლ. ვაქცინირებულ ახალშობილთა განაწილება ბილირუბინის მაჩვენებლების და დღენაკლულობის ხარისხების მიხედვით მოცემულია N3 ცხრილში.

საკონტროლო ჯგუფის ბავშვებში სიყვითლის გამოვლინება და ალაგება ხდებოდა ფიზიოლოგიურ ვადებში. ბილირუბინის მაჩვენებლების განაწილება დღენაკლულობის ხარისხის მიხედვით ამ ჯგუფში მოცემულია N4 ცხრილში.

დაკვირვებით დადგინდა, რომ ვაქცინირებულ ახალშობილთა ჯგუფს აღენიშნებოდა ბილირუბინის უფრო მაღალი მაჩვენებელი 300 მკმოლ/ლ და >ძირითადად არაპირდაპირის ხარჯზე და სიყვითლის ალაგება, ბილირუბინის მაჩვენებლების ნორმალიზაცია ვაქცინირებულ ახალშობილებში უფრო გახანგრძლივებული იყო ვიდრე საკონტროლო ჯგუფებში.

ვაქცინირებულ დღენაკლულებში კლინიკურად უფრო ხშირად გვხვდებოდა დათრგუნვის სინდრომი 78, ვიდრე არავაქცინირებულებში 30. ჰიპერტენზიული სინდრომი – 40/52%, კრუნჩხვითი სინდრომი – 8/10%.

ვაქცინირებულ ახალშობილებში ბილირუბინის მაღალი მაჩვენებლის არსებობა და გახანგრძლივებული ჰიპერბილირუბინემია წარმოადგენს რისკ-ფაქტორს, რომელმაც შეიძლება განა-

პირობოს ცნს-ის დაზიანება. ეს რისკ-ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღენაკლულუებისათვის, რომელთა ჰემატოენცეფალური ბარიერი უფრო განვლადია. აქედან გამომდინარე, სასურველია ყველა ორ-

სული გამოკვლეული იქნას HBsAg მტარებლობაზე. გადაისინჯოს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ვადები დღენაკლული ახალშობილებისათვის, მათი ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

ახალშობილთა რეანიმაციის პროგრამა საქართველოში

გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკის მიმღები - გადაუდებელი სამსახურის უფროსი, თსსუ ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულების ასისტენტ პროფესორი მაია ჩხაიძე

ახალშობილთა რეანიმაციის პროგრამა, რომელიც უშუალოდ სამშობიარო ბლოკში ტარდება, AAP და AHA მიერ დაახლოებით 25 წლის წინათ იქნა შექმნილი. ეს პროგრამა სასწავლო მოდელად გამოიყენეს 92 ქვეყანაში.

პროგრამის დანერგვის პრინციპი მდგომარეობს ამა თუ იმ ქვეყანაში ამ პროგრამის მცოდნე ტრენერების მომზადებაში, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში პერმანენტულად ამზადებენ კადრებს, რომლებიც ფლობენ ამ პროგრამის პრინციპებს.

2008 წელს თურქეთში, ქალაქ ანკარაში ორგანიზაცია latter-day saints charities დაფინანსებით და მხარდაჭერით ჩატარდა NRP (TOT) ტრენერების ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდნენ პოსტ საბჭოთა კავშირის ქვეყნების ნეონატოლოგები და პედიატრები.

საქართველოდან ამ ტრენინგს ვესწრებოდით 5 წარმომადგენელი. საქართველოში

აღნიშნული პროგრამის პროექტი განხორციელდა ამერიკის მხარისა და საქართველოს მხრიდან პედიატრთა აკადემიის ურთიერთთანამშრომლობით.

2009 წლის ოქტომბერში იგივე ორგანიზაციის დაფინანსებით, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს პედიატრთა აკადემიასთან ერთად, თბილისში, ჩაჩავას სახ. მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩატარდა NRP (TOT) ტრენერების მოსამ-

ზადებელი ტრენინგი. ტრენინგს ესწრებოდნენ ნეონატოლოგები, მეანები და ბებია ქალები, როგორც თბილისის სამშობიარო სახლებიდან, ასევე მთელი საქართველოს მასშტაბით რეგიონების სამშობიარო სახლებიდან. ტრენინგი ჩატარეს ამერიკელმა კოლეგებმა ჯორჯ ბენეტმა და რონალდ სტოდარდმა ჩვენთან ერთად (ქართველი ინსტრუქტორებთან). ტრენინგის ორგანიზება გააკეთა church of Jesus Christ of latter-day saints

წირქვადემ, ნინო ჭითანავამ და ნატო გორგაძემ გადავთარგმნეთ ქართულ ენაზე პროგრამის სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემა, აგრეთვე იგივე პროგრამის გამარტივებული სახელმძღვანელო ბებია ქალებისა და მეანებისათვის. აღნიშნული სახელმძღვანელოები დაიბეჭდა იგივე ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით.

ასევე დაიბეჭდა ქართულ ენაზე თვალსაჩინოებისათვის პროგრამის ალგორითმი.

ტრენინგებზე მომზადდა 120 ტრენერი, რომლებსაც დაურიგდათ სათანადო სერთიფიკატები, სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, სასწავლო მულაქე-



წევრებმა ჯორჯ ბენეტმა (პროგრამის კოორდინატორი), რონალდ სტოდარდმა, მარსია ბენეტმა (პროგრამის მენეჯერი), გეილ და ჯილ ლარსონებმა.

პროგრამის ჩატარებამდე მე და ჩემმა 3 კოლეგამ ირინა

ბი პრაქტიკული უნარ-ჩვევების სასწავლებლად, ასევე სამშობიარო ბლოკისათვის საჭირო აღჭურვილობა.

ჩატარებული ტრენინგის შემდეგ მსმენელები დაბრუნდნენ სამუშაო ადგილებზე და გააგრ-



ძელეს აღნიშნული პროგრამის სწავლება კოლეგებთან, სტუდენტებთან, რეზიდენტებთან, ექთნებთან. 2010 წლის მარტის თვისთვის საქართველოს მასშტაბით მომზადდა დაახლოებით 1065 სპეციალისტი, რომელიც ფლობს აღნიშნული პროგრამის თეორიულ ნაწილს და აგრეთვე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

მოგესხენებათ, რომ პირადად მე ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული დეპარტამენტის პროფესორი. მე ვასწავლი მეექვსე ანუ დამამთავრებელი კურსის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს. ყველა ჩემმა სტუდენტმა და რეზიდენტმა იცის ახალშობილთა რეანიმაციის პროგრამა, რომელიც სამშობიარო ბლოკში ტარდება, ფლობს ინტუბაციის, გულის არაპირდაპირი მასაჟის და ფილტვების დადებითი წნევით ვენტილაციის ტექნიკას, რომელიც მათ ისწავლეს მულაქებზე პრაქტიკული მეცადინეობისას.

ჩვენს კლინიკაში რამდენჯერმე ჩატარდა ქართველი ტრენერების მიერ ზემოთ აღნიშნული ტრენინგი.

აღნიშნული პროგრამის გაიდლაინის ქვეყნის მასშტაბით დანერგვა აუცილებლად შეამცირებს ახალშობილთა სიკვდილობას საქართველოში, რადგანაც თუ სამშობიარო ბლოკში

დროულად და ადეკვატურად ჩავატარდებთ ABC რეანიმაციის საფეხურებს ათასობით ახალშობილის სიცოცხლეს გადავარჩენთ. გადარჩენილი ახალშობილების დიდი რაოდენობა კი ქვეყნის დემოგრაფიულ პრობლემებს გამოასწორებს.



ამ პროგრამის ჩატარების შესახებ ანგარიშის პრეზენტაციისათვის 2010 წლის 10-13 აპრილს მიწვეული ვიყავი აშშ, იუტას შტატის, ქალაქ პროვოში, უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე

რენციაზე Global Family Health Conference. კონფერენციას ესწრებოდნენ ევროპის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტიდან სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და კლინიკების წარმომადგენლები. ჩემს პრეზენტაციაში წარმოდგენილი მქონდა ინფორმაცია საქართველოს შესახებ, საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების, ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტების შესახებ და აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელების შესახებ. გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია და გადაწყდა აღნიშნული პროექტის შემდგომი გაგრძელება 2011 წლისათვის.

აგრეთვე რამდენიმე დღე ვიმყოფებოდი პროვოს რეგიონალური კლინიკის ახალშობილთა რეანიმაციის განყოფილებაში, სადაც გავეცანი განყოფილების მუშაობის თავისებურებებს, მკურნალობის მეთოდებს, ახალი აპარატურის მუშაობის პრინციპებსა და კლინიკაში დანერგილ პროტოკოლებს.

ბოლოს მინდა ჩემი ტექსტი დავასრულო ამერიკის პედიატრიული აკადემიის სლოგანით ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ყველა ბავშვის ჯანმრთელობისათვის.